გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№30 (1720) 18 — 24 სექტემბერი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

თბილისში ცნობილი ბიზნესმენის მძღოლის მკვლელობა სცადეს

არშემდგარი შურისძიების დეტალები

ხაზარაძე-გახარიას დიდი პოლიტიკური თამაშები

რატომ „მოსულა“ ყველაფერი ქართულ პოლიტიკაში

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – ანგარიში საქართველოს გენერალურ პროკურატურაშია!

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა გაერთიანებულ საქართველოში ცხოვრებაა!“

„ჩვენი ქვეყანა არა უსიტყვო მორჩილებით, არამედ, ღირსებითა და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვით აგრძელებს ევროინტეგრაციის პროცესს!“

პოლიციამ ქვემო ქართლში თანხის გამოძალვაში დახმარების ფაქტზე სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯგუფურად ჩადენილ თანხის გამოძალვაში დახმარების ფაქტზე სამი პირი დააკავეს.

დაკავებულები არიან: 2005 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ჰ.ა., ამავე წელს დაბადებული ვ.მ. და 2007 წელს დაბადებული კ.ა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ჰ.ა. და კ.ა. საზღვარგარეთ მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტს მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქისგან თანხის გამოძალვაში ეხმარებოდნენ. ბრალდებულებმა აღნიშნული მოქალაქის დასაშინებლად, ფულის გამოძალვის მიზნით, მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში ხელყუმბარა ისროლეს, რომელიც არ აფეთქდა.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ აღნიშნული მძიმე დანაშაულის შესახებ ცნობილი იყო ამჟამად ბრალდებულის სახით დაკავებულ ვ.მ.-სთვის, თუმცა მან სამართალდამცავ ორგანოებს დანაშაულის თაობაზე არ შეატყობინა.

სამართალდამცველებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამივე მათგანი ბრალდებულის სახით დააკავეს.

პოლიციამ ხელყუმბარა ნივთმტკიცებად ამოიღო.

დანაშაულები 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძალვაში ჯგუფურად ჩადენილი დახმარების, ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შეძენა-შენახვა – ტარების, გადაზიდვის, ასევე, მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 25-181-ე, 236-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს.

პოლიციამ პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, სექსუალური ხასიათის დანაშაულისა და გამოძალვის ბრალდებით თბილისში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2006 წელს დაბადებული რ.ხ. პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედებისა და გამოძალვის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული არასრულწლოვან ა.ს.-ს, სოციალური ქსელის მეშვეობით, მისთვის პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის გადაგზავნას სთხოვდა, რომლითაც შემდგომ მას აშანტაჟებდა და სხვადასხვა ოდენობის თანხას სძალავდა.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ ბრალდებულმა ძალადობის მუქარით, ა.ს. მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება განახორციელა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 157 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 181-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულის ბრალდებით 14 პირი დააკავა, მათ შორის 10 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის, თბილისის, აჭარისა და კახეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 14 პირი დააკავეს, მათ შორის 10 ნარკორეალიზატორია.

დაკავებულებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების გასაღების, გასაღების მცდელობის, გასაღების მომზადების, ასევე, ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო გასაღების, გასაღების მომზადების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1991 წელს დაბადებული თ.ა., 1982 წელს დაბადებული ს.მ., 1986 წელს დაბადებული ს.ა., 1974 წელს დაბადებული დ.ს., 1986 წელს დაბადებული ა.შ., 1985 წელს დაბადებული ლ.პ. 1994 წელს დაბადებული ა.ფ., 2000 წელს დაბადებული ზ.ბ., ასევე, წარსულში ნასამართლევი პირები: 1979 წელს დაბადებული ი.მ. და 1979 წელს დაბადებული თ.კ.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების, ასევე, ფსიქოტროპული ნივთიერებების და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ უკანონო შეძენა-შენახვის, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანისა და კულტივირების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1987 წელს დაბადებული ა.ა., 1996 წელს დაბადებული ნ.ლ., ასევე, წარსულში ნასამართლევი პირები: 2000 წელს დაბადებული კ.ლ., 1981 წელს დაბადებული შ.მ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის: „ჰეროინი“, „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“, „მეტამფეტამინი“, „ამფეტამინი“, „მარიხუანა“, „მეტადონი“, „ბუპრენორფინი“ და „ალფა პვპ“ ამოიღეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციის მიერ ნივთმტკიცებად არის ამოღებული სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული, წებოვანი ლენტები და ელექტრო სასწორები.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 18-260-ე, 19-260-ე და 273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

ხაზარაძე-გახარიას დიდი პოლიტიკური თამაშები

ნინო დოლიძე

რატომ „მოსულა“ ყველაფერი ქართულ პოლიტიკაში

ის, რომ ქართულ პოლიტიკაში „ყველაფერი მოსულა“, დიდი ხანია, დიდმაც ვიცით და პატარამაც. არც ის გვიკვირს ვინმეს, რომ გუშინდელი მეგობრები დღეს დაუძინებელი მტრები არიან და პირიქით. ეს, პრაქტიკულად, არც გასაკვირია, რადგან პოლიტიკაში არც მუდმივი მტრები არსებობენ და არც – მუდმივი მეგობრები, ვინაიდან პოლიტიკა ერთგვარად ინტერესების ასპარეზია, მაგრამ არსებობს რაღაც ზღვარი, რისი გადალახვაც, სხვა თუ არაფერი, ხალხის, ესე იგი, ამომრჩევლის თვალში ამა თუ იმ პერსონას, მინიმუმ, ცუდად წარმოაჩენს.

დანამდვილებით ვერ ვიტყვით, ხალხს რა რეაქცია ექნება, თუ გახარია და ხაზარაძე გაერთიანდბიან, მაგრამ ცოტა მოულოდნელი იყო პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ინიციატივა, რომელიც ამ ორი ზემოხსენებული პოლიტპერსონის შესაძლო ალიანსს ეხება.

აი, ის კი, რაც მამუკა ხაზარაძემ თქვა, მოულოდნელი კი არა, უფრო გასაოცარია ანუ ხაზარაძე, რომელსაც თავის დროზე ანუ გახარიას „ოცნებაში“ ყოფნის დროს ამ უკანასკნელთან პრეტენზიები ჰქონდა, ახლა ამბობს:

„გიორგი გახარიასთან მე პიროვნული ამბავი კი არ მაქვს, ჩვენი უთანხმოება მოხდა ძირეულ საკითხებზე. ეს არ არის რაღაც ვიჩხუბეთ და ასე შემდეგ, შესაბამისად, არაფერს ვერჩი მის თანაგუნდელებს ისევე, როგორც გიორგი გახარიას. ნორმალური ადამიანები არიან და ძალიან ბევრ რამეში, თითქმის უმეტეს ნაწილში, ჩვენი ხედვები ერთმანეთს ემთხვევა. მე ამ ყველაფერს ვუყურებ სხვანაირად. ჩვენ რომ ხვალ დავილაპარაკოთ, იქნება ეს მისაღები ჩვენი ამომრჩევლისთვის? ეს სინერგიას მოგვცემს? თუ ეს სინერგიას იძლევა და სწორედ სინერგიისთვის გადავდგით ჩვენ ეს ნაბიჯი, როცა ოთხი სხვადასხვა პარტია ამ ბლოკში გავერთიანდით... ამიტომ, მე მინდა მაყურებელს ძალიან მკაფიოდ, გულახდილად და გულწრფელად ვუთხრა, არანაირი პიროვნული ამბები არ არსებობს, არსებობს გვაძლევს თუ არა ეს სინერგიას და არსებობს პრინციპული საკითხების გარშემო შეთანხმება, ეს არც თანამდებობას ეხება, არც კვოტების განაწილებას, ეს ეხება მიიღებს თუ არა, ასე ვთქვათ, პირველ ეტაპზე საუბარს ჩვენი ამომრჩეველი (დრო საკმარისია) და იქნება თუ არა ეს სინერგიის მომტანი.

თუ ეს სინერგიის მომტანი არ იქნება და თუნდაც ეს საუბარი დაანგრევს ვიღაცის მოლოდინს, რომელიც ჩვენს მიმართ აქვს, ან შეიძლება, მათ მიმართ აქვს, მაშინ ამის გაკეთება არ ღირს. თქვენ კვლევების შედეგად ხედავთ, რომ დღეს ოთხივე ოპოზიციურ პარტიას არ აქვს ბარიერის გადალახვის პრობლემა. თუ ეს სინერგიას მოიტანს და დავრწმუნდებით, რომ სინერგიის მომტანია, კიდევ ვიმეორებ, მე პიროვნული თემა არ მაქვს, მე ერთადერთი ამოცანა მაქვს, რომ რუსული კლანჭებისგან დავიხსნათ ჩვენი ქვეყანა, ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით გავიყვანოთ პოლიტიკური მმართველი პოზიციის ავანსცენიდან. ეს არის ჩემი ნომერ პირველი ამოცანა იმიტომ, რომ თუ ეს ვერ მოახერხა „თეორიაში“ ოპოზიციამ და მინდა ვთქვა, რომ ამას ახერხებს ამ მონაცემებით, მაგრამ ძალიან ბევრი გვაქვს სამუშაო ეს რომ გავაკეთოთ, მაშინ ქვეყანა ჩავარდება ძალიან მძიმე მდგომარეობაში, იზოლირებული ვიქნებით და ვიქნებით რაღაცა მოდელი, აღარ მინდა, რომელიმე ქვეყანა ვახსენო, მაგრამ ყველა მიხვდება, რანაირი ტიპის ჰიბრიდული მმართველობა ჩამოყალიბდება აქ.

შესაბამისად, კიდევ ვიმეორებ, ეს არის კვლევის, კონსულტაციების და იმ სინერგიის აღმოჩენის შედეგი. ჩვენ არ უნდა გავაკეთოთ ისეთი რაღაცა, რომ მომიტრიალდეთ და მითხრათ, რომ „უპრინციპო ადამიანი ხარ, გუშინ ჩხუბობდი და დღეს გაერთიანდი და ასე შემდეგ“. კიდევ ვიმეორებ, პიროვნული თემა ჩემთვის არის, ამ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი, როცა ქვეყნის მართლა ეგზისტენციალური საკითხი დგება. ვერავინ იტყვის დედამიწის ზურგზე, რომ მე ოდესმე დამიყენებია პიროვნული საკითხი წინ, როცა საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხება. ასეთი რაღაც არ არსებობს და არც იარსებებს არასდროს! უამრავი ჰობი მაქვს, უამრავი პროექტი მაქვს, მე არც თანამდებობას ვეძებ, არც დეპუტატობას ვეძებ. იცით, რომ ვიყავი დეპუტატი და დავტოვე მანდატი, სწორედ იმის გამო, რომ მეჩვენებინა – არ ვეფარები არანაირ პოლიტიკურ სარჩულს. თქვენ გახსოვთ, რომ მანდატი სასამართლომდე დავტოვე. ახლა სტრასბურგშია ჩვენი საქმე და იქაც მოვიგებთ. დრო სჭირდება ამას და მე ბრძოლას არასდროს შევწყვეტ“, – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

სხვათა შორის, გახარია-ხაზარაძის საარჩევნო ალიანსზე საუბარი რამდენიმე თვის წინაც დაიწყო, თუმცა მაშინ ხაზარაძის თანაგუნდელებმა ეს კავშირი კატეგორიულად გამორიცხეს.

კარგი, დავუშვათ და, ეს ერთობა შედგა, რას მოიგებს ამით ამომრჩეველი? თუ ძალიან გულწრფელები ვიქნებით, გახარია-ხაზარაძის პოლიტქორწინებით რიგითი მოქალაქე მოგებული ვერ დარჩება. სამაგიეროდ, თავად ორივე სუბიექტი იხეირებს ანუ გარანტირებულად გადალახავს 5%-იან ბარიერს და პარლამენტში შევა, მაგრამ ეს, დიდი ალბათობით, იქნება შესვლა შესვლისთვს.

სხვათა შორის, ისიც საინტერესოა, რატომ გამოვიდა სალომე ზურაბიშვილი მაინცდამაინც გახარია-ხაზარაძის გაერთიანების იდეით და არა, ვთქვათ – გვარამია-ენმ-სი? ბოლოს და ბოლოს, ნიკა გვარამია და იგივე ნიკა მელიაც ენმ-ს წიაღიდან არიან. აი, გახარიასა და ხაზარაძეს კი, თუ ბიზნესს არ ჩავთვლით, სრულიად განსხვავებული პოლიტბეგრაუნდი აქვთ.

ესე იგი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზურაბიშვილის ეს ინიციატივა რაღაც პოლიტიკურ ინტერესს მალავს, მაგრამ რა არის ეს ინტერესი?

მარჩიელობას, სჯობს, დაველოდოთ და დრო ყველაფერს გამოაჩენს...

ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა გაერთიანებულ საქართველოში ცხოვრებაა!“

„ქართული ოცნება“, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს. ამჯერად, გთავაზობთ მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის სიტყვას, რომლითაც მან შიდა ქართლის მოსახლეობას, რამდენიმე დღის წინ, გორში მიმართა:

„ჩვენი ქვეყანა არა უსიტყვო მორჩილებით, არამედ, ღირსებითა და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვით აგრძელებს ევროინტეგრაციის პროცესს!“

„მოგესალმებით საქართველოს ულამაზესი კუთხის, შიდა ქართლის შვილებს!

მოხარული ვარ, რომ საქართველოს შუაგულში, კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ ყველას ჩვენს ერთად დგომას, სიძლიერეს და სიმრავლეს.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის, მრავალფეროვნებისა და უნიკალური კულტურის დღევანდელ დღემდე მოტანაში თითოეულ კუთხეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის. ქართლი კი ყოველთვის ყველა კუთხის, ამ მრავალფეროვნების შემკვრელი იყო და მუდამ მტკიცედ იდგა საქართველოს თვითმყოფადობის სადარაჯოზე. 3000-წლოვანი უფლისციხე, ყინწვისი, ატენის სიონი, წინაპრებისგან დატოვებული კიდევ უამრავი ხუროთმოძღვრების ძეგლი ყველაზე თვალსაჩინოდ შეგვახსენებს, თუ რამდენი რამ შესძინა ჩვენს ქვეყანას ამ ულამაზესმა კუთხემ. მრავალი საუკუნის მანძილზე, მუხლჩაუხრელი შრომა და ბრძოლა ქართლელი კაცის ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იყო, რამაც მტკიცე ხასიათი ჩამოგიყალიბათ, ძნელბედობისადმი შეგუების უფლება არ მოგცათ და მომავალი თაობების წინაშე აღებული პასუხისმგებლობა ღირსეულად გატარებინათ.

12 წლის წინ, თქვენს წინაშე გამოსვლისას, მე დაგპირდით, რომ სახელმწიფო ადამიანის მიმართ დამოკიდებულებას შეცვლიდა და ეს დაპირება შევასრულეთ. შემოვიღეთ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რამდენჯერმე გავზარდეთ პენსია და სოციალური დახმარებები, ასი ათასობით ადამიანმა დაძლია სიღარიბე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ გამყოფი ხაზის პირას მცხოვრებ მოსახლეობას, ხორციელდება სოციალური პროგრამები დევნილების ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად, მათთვის შემუშავებულია და მოქმედებს რამდენჯერმე გაზრდილი სოციალური დახმარებისა და შეღავათების პაკეტი.

2012 წელს, ჩვენ ვაცხადებდით, რომ ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყნის საფუძველია და დაგპირდით, რომ ქართული სოფლის აღორძინებისთვის მილიარდიან ფონდს შევქმნიდით. ამ დაპირების შესაბამისად, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ქართული სოფლის გაძლიერებისათვის, ყოველწლიურად, ასობით მილიონი ლარი იხარჯება. შედეგად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება გაორმაგდა; შეიქმნა 420 ახალი გადამამუშავებელი საწარმო და შემნახველი ობიექტი; 23 ათას ჰექტარზე გაშენდა მრავალწლოვანი კულტურები; 70%-ით გაიზარდა ვენახების ფართობები და ხუთჯერ გაიზარდა ყურძნის გადამუშავება, ოთხჯერ გაიზარდა ქართული ღვინის ექსპორტი.

წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელმაც ტრადიციული ბაზრები გააქრო და ალტერნატიული ვერ მოიძია, ჩვენ მოვახერხეთ და ქართული პროდუქცია დავაბრუნეთ რუსეთის ბაზარზე, პარალელურად კი ახალი ბაზრებიც ავითვისეთ. დღეს, ევროკავშირში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩინეთსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში წარმატებით იყიდება ქართული ღვინო, ხილი და მრავალი სხვა აგრარული პროდუქტი.

12 წლის წინ, თქვენს წინაშე გამოსვლისას ხაზგასმით ვთქვი, რომ ევროინტეგრაცია ჩვენი სტრატეგიული არჩევანი იყო, თუმცა მეზობლებს ვერ ავარჩევდით და ამიტომ, ევროინტეგრაციის პარალელურად, რუსეთთან პრინციპული, მაგრამ კორექტული პოზიცია უნდა დაგვეჭირა. მე დაგპირდით, რომ ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებდა მეზობლებთან ურთიერთობების ნორმალიზებისთვის და დღეს თქვენ ყველაზე უკეთ იცით, აღდგენილმა სავაჭრო ურთიერთობებმა რამდენად მნიშვნელოვანი სარგებელი მოუტანა აქაურ მოსახლეობას. ეს კი იმის პარალელურად, რომ ქართველ ხალხთან ერთად, სწორედ ჩვენმა ხელისუფლებამ მოიპოვა ევროპასთან უვიზოდ მიმოსვლის უფლება, გააფორმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

დღეს ჩვენი ქვეყანა არა უსიტყვო მორჩილებით, არამედ, ღირსებითა და საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვით აგრძელებს ევროინტეგრაციის პროცესს!

კარგად ვიცით, რომ ჩვენი მოსახლეობისთვის კიდევ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი და მიღწეულზე გაჩერებას არ ვაპირებთ. ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა მუდმივად გაგრძელდება.

თუმცა, დღესდღეობით, ჩვენი ქვეყანა საგანგებო გამოწვევების წინაშე დგას. ყველაფერი უკან დაგვრჩება, თუ გარე დაკვეთით მოქმედ აგენტურას, რადიკალურ ოპოზიციას ქვეყნის არევის შესაძლებლობას მივცემთ და მშვიდობას ვერ შევინარჩუნებთ. დღეს ოპოზიცია ეწოდება ომის პარტიას, რომელიც ქვეყნის საზიანოდ ნებისმიერ დავალებაზეა ხელის მომწერი, ხოლო მეორე მხარეს არის „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, რომელიც ეროვნული ინტერესების დაცვასა და ქვეყნის განვითარებაზეა ორიენტირებული. ასეთ პირობებში, ჩვენს გუნდს საზოგადოების მყარი მხარდაჭერა აქვს და ჩვენს გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება. თუმცა, ჩვენი ამოცანა არა უბრალოდ გამარჯვება, არამედ, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაა. ეს არ არის ჩვენი ახირება. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ საკონსტიტუციო უმრავლესობა შექმნის ყველაზე მყარ, გრძელვადიან გარანტიას ჩვენი ქვეყნის შეუქცევადი განვითარებისათვის.

კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო, თუ რისთვის გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა:

პირველ რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოგვცემს საშუალებას, ქვეყნის პოლიტიკური სისტემა საფუძვლიანად გავაჯანსაღოთ. დემოკრატიული სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ქვეყნის მართვისთვის ჯანსაღი პოლიტიკური ძალები იბრძოდნენ და ისინი, გარკვეული პერიოდულობით, ხელისუფლებაში ერთმანეთს ანაცვლებდნენ. ვიდრე ოპოზიცია დამნაშავეთა ერთიანობას ეწოდება, საქართველოში ჯანსაღი დემოკრატიული სისტემა ვერასოდეს ჩამოყალიბდება.

დღეს, ჩვენ, გორში ვიმყოფებით, ქალაქში, რომელიც 1000 წელია, საქართველოს ძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს სიმბოლოდ მტკიცედ დგას! ქართველების ენით აღუწერელი გმირობის კიდევ ერთი, გასაოცარი ისტორია სწორედ აქ, სოფელ შინდისთან დაიწერა, ისტორია, რომელიც გვახსენებს, თუ როგორი თავდადებით შეუძლია ქართველს საკუთარი სამშობლოს დაცვა! ეს ქალაქი და მთლიანად შიდა ქართლი, 2008 წლის ომის ქარტეხილის მომსწრეა. დღესაც, 12 წლის შემდეგ, კვლავ აქ ვდგავარ და სამწუხაროდ, ისევ იმ გამოუსწორებელ შედეგებზე მიწევს ლაპარაკი, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკუთარ ქვეყანას დაატეხა თავს. იმ ავბედითი მოვლენებიდან უკვე 16 წელი გავიდა, თუმცა მაშინ მოყენებული ჭრილობა ჩვენმა ქვეყანამ ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა. თქვენ საკუთარ თავზე, ყველაზე მძაფრად გამოსცადეთ, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ქვეყანა ხელისუფლების ღალატმა – ისტორიული რეგიონების ოკუპაცია, საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული ათობით ათასი ადამიანი და ასობით ქართველის შეწირული სიცოცხლე – ეს „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის მემკვიდრეობაა.

საკუთარი სამშობლოსა და ხალხის წინაშე ისეთი დანაშაულის ჩამდენ ძალას, რომელიც დღესაც ქვეყანას ომისკენ ექაჩება, ძალაუფლების დაბრუნების თეორიული შესაძლებლობაც კი არ უნდა ჰქონდეს. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ჩვენ დავიწყებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც, „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი სატელიტი მემკვიდრე პარტიები არაკონსტიტუციურად გამოცხადდება. ეს ადამიანები უმკაცრესად უნდა გასამართლდნენ ყველა იმ უმძიმესი დანაშაულისთვის, რომელიც მათ ქვეყნისა და ხალხის წინაშე ჩაიდინეს, განსაკუთრებით კი 2008 წელს ჩადენილი უმძიმესი ღალატისთვის;

მეორე: ჩვენ პარლამენტში უკვე წარვადგინეთ კონსტიტუციური კანონპროექტი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია ისევე ეწინააღმდეგება, როგორც ყველა სხვა ეროვნულ წამოწყებას. ქართველი კაცის მორალი დღეს ოპოზიციისა და მისი მფარველების განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენს. მათ ზუსტად იციან, რომ საზოგადოება მაშინ ხდება უსიტყვოდ მორჩილი, როდესაც საკუთარ წარსულზე, ისტორიასა და ღირებულებებზე ამბობს უარს! საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სურვილს აუცილებლად ავსახავთ საქართველოს კონსტიტუციაში და როგორც ოჯახურ ღირებულებებს, ისე არასრულწლოვანთა ინტერესებს უმაღლეს, კონსტიტუციურ რანგში დავიცავთ;

მესამე: საქართველო და მართლმადიდებლობა ერთმანეთისგან განუყოფელი ცნებებია. ჩვენი წინაპრები, საუკუნეების მანძილზე, სამშობლოსა და სარწმუნოების დასაცავად დაღვრილი სისხლით წერდნენ ისტორიას, მომავალ თაობებს უნარჩუნებდნენ იმ ქრისტიანულ ღირებულებებს, რომლებმაც საქართველოს ევროპული იდენტობა შემოუნახა. ქრისტიანული სარწმუნოება,

დასასრული მე-5 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა გაერთიანებულ საქართველოში ცხოვრებაა!“

მე-4 გვერდიდან

მამულთან და ენასთან ერთად, ქართული იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენია, რომელიც განსაკუთრებულ მოფრთხილებასა და დაცვას საჭიროებს.

გასაკვირი არაა, რომ დღეს ჩვენი ქვეყნის შიდა თუ გარე მტრების განსაკუთრებული სამიზნე სწორედ მართლმადიდებელი ეკლესიაა. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთანავე, მივიღებთ კონსტიტუციურ კანონს, რომლითაც მართლმადიდებლობა საქართველოს სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენად გამოცხადდება;

მეოთხე: ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ეროვნული ამოცანა გაერთიანებულ საქართველოში ცხოვრებაა! ჩვენი ქვეყნის გარშემო მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება. ამ ფონზე, ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღსადგენად, ნიადაგი ნებისმიერ დროს შეიძლება მომწიფდეს, რისთვისაც საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება გახდება აუცილებელი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კოლექტიური „ნაცმოძრაობა“ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებასაც შეუქმნის დაბრკოლებას. იმისთვის, რომ საქართველოს გამთლიანებას წინ ვერავინ აღუდგეს, „ქართულმა ოცნებამ“ მყარი საკონსტიტუციო უმრავლესობა უნდა მოიპოვოს.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს ჩემს წინა გამოსვლებშიც არაერთხელ შევეხე, თუმცა მთავარი სათქმელი სწორედ დღევანდელი დღისთვის შემოვინახე. ცხადია, ჩვენი მიზანი მხოლოდ ტერიტორიების დაბრუნება არ არის. მეტიც, არცერთ გოჯ მიწას არავითარი ფასი არა აქვს იქ მცხოვრები ადამიანების გარეშე. ჩვენი მთავარი ამოცანა სწორედ ჩვენი ოსი დებისა და ძმების დაბრუნებაა. მთავარი იდეა იმ ურთიერთობების აღდგენაა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ადუღაბებდა საქართველოს მთლიანობას.

2012 წელს, როდესაც თქვენთან ერთად ვემზადებოდი კრიმინალური რეჟიმისგან საქართველოს გასათავისუფლებლად, თქვენს წინაშე, ამ ქალაქში, ვრცლად ვისაუბრე სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმის მიერ პროვოცირებული ომის შესახებ და მინდა, ჩემი 12 წლის წინანდელი გამოსვლიდან მცირე ამონარიდი გავიხსენო. 2012 წლის 15 ივლისს, მე გითხარით შემდეგი:

„გულით თუ გვინდა, რომ ამ ჭრილობამ, ბოლოს და ბოლოს, პირი შეიკრას, ჯერ ჩვენ შევკრათ პირი დღეს აქ. ჩვენ ერთად მოვნახავთ ძალას და შევძლებთ პატიებას. ჩვენ შევძლებთ არა მარტო პატიებას, ჩვენ ჩვენი ბრალის აღიარების და მონანიების ძალაც შეგვწევს. ჩვენ ქართველ დედებს კიდევ ერთხელ მოვუხდით ბოდიშს, ჩვენ „ვეფხისა და მოყმის“ შემქმნელი ხალხი ვართ, ჩვენ სამძიმარს ვეტყვით ოს დედებს, დავეხმარებით მათ უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილების მოძებნაში, ჩავატარებთ სამართლიან გამოძიებას, გამოვასწორებთ, რისი გამოსწორებაც ჯერ კიდევ შესაძლებელია. მომავალშიც, ჩვენ მხოლოდ გზას დავუოცავთ ქართულ-ოსურ ოჯახს, რომელიც ყოველთვის ბუნებრივი და ჩვეულებრივი ამბავი იყო აქ, ამ მხარეში.

ჩვენ, ქართველებმა და ოსებმა, ერთად უნდა შევძლოთ ურთიერთობის აღდგენა, რადგან ამდენი რამ გვაკავშირებს და გვაახლოებს ერთმანეთთან. ჩვენ გამოვნახავთ მისადგომს ჩვენს დებთან და ძმებთან, ოსებთან. ჩვენ აუცილებლად აღვადგენთ მათთან ურთიერთობას“.

თქვენს წინაშე ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, 12 წელი გავიდა. სწორედ ეს დრო დაგვჭირდა იმისათვის, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ, საფუძვლიანად გამოგვერკვია ყველაფერი და 2008 წლის ტრაგედიისათვის პოლიტიკური შეფასება მიგვეცა. დღეს უკვე ხმამაღლა, ყოველგვარი მორიდების გარეშე ვსაუბრობთ ომის გამჩაღებელ „ნაციონალურ მოძრაობაზე“, რამეთუ ხელთ გვაქვს მათ მიერ ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის უამრავი მტკიცებულება. ჩვენ კარგად გავაცნობიერეთ, რომ ეს ყველაფერი იყო გარედან კარგად დაგეგმილი პროვოკაცია ქართველი და ოსი ხალხის წინააღმდეგ, რომლის მიზანი ჩვენი ერთიანობის გახლეჩა, ურთიერთობების განადგურება და დაუსრულებელი, ხელოვნური დაპირისპირების პირობებში არსებობა იყო. არსებობა და არა თანაცხოვრება, რადგან ჩვენი ქვეყნის მტრებმა მიზნად სწორედ ამ მოცემულობის შექმნა დაისახეს, რაც, სამწუხაროდ, წარმატებით შეასრულა პასპორტით ქართველმა, საზრისით და სულით კი უსამშობლო აგენტურამ.

დღეს, ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი არ ყოფილა არც ქართველი და არც ოსი ხალხის სურვილი. ამიტომ, როდესაც ძმათა შორის სისხლიანი კონფლიქტის დამკვეთებს ვამხელთ, ხოლო შემსრულებლებს ამ უმძიმეს დანაშაულზე სამართლებრივად ვაგებინებთ პასუხს, აუცილებლად დადგება დღის წესრიგში ურთიერთობების აღდგენის საკითხი. პირობას გაძლევთ, რომ ქართული ნიურნბერგის პროცესი ძალიან მალე ჩატარდება, რაც აუცილებლად გახდება ჩვენი შერიგების წინაპირობა.

ქართველების ერთ-ერთი ღირსება ყოველთვის იყო რეალობისთვის თვალის გასწორების უნარი, როგორი მწარეც არ უნდა ყოფილიყო ის. საქართველოში 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობის ფონზე, კიდევ უფრო ღრმად მწამს, რომ სწორედ საკუთარი შეცდომების აღიარება, ქართველებსა და ოსებს შორის საუკუნოვანი ძმობისა და მეგობრობის გახსენება იქნება იმ გზის დასაწყისი, რომელიც გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ ადამიანებს ნდობის აღდგენის სურვილს გაუჩენს.

26 ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე, როდესაც ომის გამჩაღებლები გასამართლდებიან, როდესაც უკლებლივ ყველა დამნაშავე ქართულ-ოსური ძმობისა და თანაცხოვრების დანგრევისთვის უმკაცრეს სამართლებრივ პასუხს მიიღებს, ჩვენ აუცილებლად გამოვძებნით საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოვიხადოთ იმის გამო, რომ დავალების შესაბამისად, მოღალატე „ნაციონალურმა მოძრაობამ“, 2008 წელს, ცეცხლის ალში გახვია ჩვენი ოსი დები და ძმები. და რადგან ჩვენი, ქართველებისა და ოსების ქრისტიანული რწმენის ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედი სწორედ შენდობაა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მტრების მიერ, ჩვენი ხალხებისათვის თავსმოხვეული ძმათამკვლელი დაპირისპირება სწორედ რომ ისტორიული ურთიერთპატიებით და გულწრფელი შერიგებით დასრულდება.

საქართველოს გულში მცხოვრებო ჩემო თანამოქალაქეებო, 26 ოქტომბერს, კიდევ ერთხელ უნდა მოვიხადოთ ვალი ჩვენი სამშობლოს წინაშე, აუცილებლად უნდა მივიდეთ არჩევნებზე და მკაფიოდ დავაფიქსიროთ, რომ ჩვენი მიზანი არა წარსულში დაბრუნება, უსიტყვო მორჩილება და ომი, არამედ, მომავლის შენება და განვითარებაა!

მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი დაწყებული გზა ოს ხალხთან შერიგებით გავაგრძელოთ და ყველა ერთად გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრები – მხოლოდ მშვიდობითა და კეთილდღეობით.

გაუმარჯოს ქართლელებს! გაუმარჯოს ჩვენს ოს დებსა და ძმებს! გაუმარჯოს ერთიან საქართველოს!“

მიწის ნაკვეთები საქართველოში, წილები კომპანიებში, ბინა ლონდონში და ნაჩუქარი „იაგუარი“ – რა ქონებას ფლობს „ლელოს“ ლიდერი



მამუკა ხაზარაძის დეკლარაცია

მაკა რუხაძე

ის პირველი არ არის, ვინც ბიზნესიდან პოლიტიკაში წავიდა და მმართველ პარტიას დაუპირისპირდა. თუმცა, ფაქტია, ანაკლიის პორტთან დაკავშირებული სკანდალი აღმოჩნდა ის მთავარი წყალგამყოფი, რის გამოც აწ უკვე ყოფილმა ბანკირებმა, განუყრელმა მეგობრებმა, პარტნიორებმა და ახლო ნათესავებმა – სიძე-ცოლისძმამ – მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ პოლიტიკაში გადაინაცვლეს. შექმნეს საკუთარი პარტია „ლელო“ და თანამოაზრეები შემოიკრიბეს, თუმცა 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, შექმნეს კოალიცია „ძლიერი საქართველო“, რომელშიც „ლელოს“ გარდა, ალეკო ელისაშვილი, ანა დოლიძე, დავით გამყრელიძე, ოპოზიციური გაერთიანება „თავისუფლების მოედანი“ და თქვენ წარმოიდგინეთ, ექს-პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც კი გააერთიანეს. შექმნეს საარჩევნო პროგრამა, რომელსაც არც მეტი და არც ნაკლები – „ილიას გზა“ დაარქვეს და პრეზენტაციაც გამართეს. ჰოდა, „ვერსია“ მამუკა ხაზარაძის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ.

მართალია, მეათე მოწვევის პარლამენტში არ შესულა, მაგრამ მამუკა ხაზაძემ ქონებრივი დეკლარაცია 2021 წლის 10 თებერვალს ჩააბარა. ბოლო დეკლარაცია კი, რომელსაც ახლა განვიხილავთ, 2022 წლის 28 თებერვალს ჩაუბარებია.

ამ დეკლარაციის მიხედვით, მამუკა ხაზარაძეს ქალაქ წალენჯიხაში, 2 925 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი შეუძენია 2022 წლის 16 თებერვალს და 22 000 ლარი გადაუხდია. გარდა ამისა, ყოფილი ბანკირის საკუთრებაშია მიწის რვა ნაკვეთი ციხისძირში, მიწის სამი ნაკვეთი მუხრანში, საცხოვრებელი სახლი თბილისში; ბინა ლონდონში, რომლის 50%-იანი წილი მეუღლის სახელზეა.

გარდა ამისა, მამუკა ხაზარაძე ფლობს ორ აგარაკს წყნეთში; ბინასა და ავტოფარეხს დუშეთში; მიწის ნაკვეთს ლისის ტბის მიმდებარედ; მიწის ნაკვეთს ნატანებში; ბინას თბილისში. ასევე, მის საკუთრებაშია ნაწილობრივ მიწის ათი ნაკვეთი ციხისძირში, რადგან ამ უძრავი ქონების მფლობელები მასთან ერთად არიან: ბადრი ჯაფარიძე, ივანე ხაზარაძე და კახა ხაზარაძე.

მამუკა ხაზარაძე ბადრი ჯაფარიძესთან ერთად ფლობს მიწის ორ ნაკვეთს ლისის ტბის მიმდებარედ.

როგორც დეკლარაციაშია მითითებული, ხაზარაძის საკუთრებაშია მსუბუქი ავტომობილები – Lexus LX 570 და Jaguar XK140. ეს უკანასკნელი, როგორც დეკლარაციიდან ირკვევა, მისთვის უჩუქებიათ.

დეკლარაციის შევსებისას, საბანკო ანგარიშებზე ჯამში – 399 440 ლარი; 3 493 656 აშშ დოლარი; 2 181 170 გირვანქა სტერლინგი და 95 164 ევრო ერიცხება.

გარდა ამისა, მამუკა ხაზარაძე არის სს „ატლანტა ლენდის“, სს „თბილისი ჯგუფის“, სს „ლისი ლეიქის“, სს TBC Bank Group PLC-ს, შპს Bicester Motion Limited-ს, სს Le Club des Automobiles du Chateau de Sermet-ს, სს GRDC Holding B.V.-ს; სს Georgian Reconstruction and Development Company-ს აქციონერი.

ხაზარაძე წილებს ფლობს ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა: შპს „ახალი სამშენებლო კომპანია“, შპს „გეოპლანტი“, შპს „ეიჩ არ სი თბილისი“, შპს „ვაზისუბნის მამული“, შპს „ვარძიის ტერასები“, შპს „მწვანე გარემო“; შპს „ნაფარეულის მამული“; შპს „როიალ ხვანჭკარა“; შპს „სოლარი საქართველო“; შპს „ქართული ორიგინალური ვაზისა და ღვინის ჰოლდინგი“; შპს „ქართული ტრადიცია“; შპს „ჯორჯიან რიელ ისთეით მენეჯმენტ“; შპს „დარჩელი რეალ ისთეით“; შპს „თიბისი ჰოლდინგი“; შპს „რადიო არტი“; შპს „ტექნიკური დიზაინის სტუდია“; შპს GRDC Management Company; შპს Equity Partners Ltd შპს CCP Caucasus Capital; შპს Dunmore Corporation; შპს Liquid Crystal International S.w.r.l.

რაც შეეხება მის ოჯახს, თითო მსუბუქ ავტომობილს ფლობენ მისი მეუღლე და შვილი. ამასთან, მამუკა ხაზარაძის უფროსი შვილები ფლობენ აქციებს ისეთ კომპანიებში, როგორებიცაა: JPMorgan&Chas; APPLE INC; Facebook Inc; TBC BANK GROUP PLC; UNITED STATES OIL FUND LP; ENERGY SELECT SECTOR SPDR და ა.შ.

მამუკა ხაზარაძის მეუღლე ფლობს წილებს ორ კომპანიაში, ხოლო მისი უფროსი ვაჟი – შვიდ კომპანიაში.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – ანგარიში საქართველოს გენერალურ პროკურატურაშია!

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

მაკა რუხაძე

„ვერსია“ აგრძელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების შეხსნებას, რომლებიც უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ამჯერად, გთავაზობთ ანგარიშს, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებების შესყიდვებს ეხება. დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, საკმაოდ სკანდალური აღმოჩნდა, რადგან აუდიტის პროცესშივე გაირკვა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს მიერ, მთელი რიგი შესყიდვების შესახებ დოკუმენტაცია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში იყო გადაგზავნილი. შესაბამისად, ეს კონკრეტული შესყიდვები აუდიტორებმა ვეღარ შეამოწმეს. აუდიტის დასკვნა ეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების მიერ, 2020-2021 წლებში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებს.

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

დავიწყოთ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში აღმოჩენილი დარღვევებით. შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს უნდა ახორციელებდეს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული კანონის მოთხოვნები (შესაფერისი ინფორმაციის შეგროვება, სათანადო შესწავლა და ანალიზი), რათა სახელმწიფო შესყიდვები უზრუნველჰყოს რაციონალურად და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით.

„რვა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვის საჭიროებები არ განსაზღვრულა რაციონალური გათვლებისა და ანალიზის საფუძველზე. საჭირო შესყიდვების სწორად და რაციონალურად დასაგეგმად არ იყო ჩამოყალიბებული მართლზომიერი პრაქტიკა. აღნიშნულ პირობებში, აუდიტის ობიექტებზე სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმებს სხვადასხვა დროს, 2020-2021 წლებში, შესაბამისად, 309 და 354 ახალი პოზიცია დაემატა შესყიდვის ახალი ობიექტის სახით, რაც თანხობრივად 874 040 ლარს და 1 118 100 ლარს შეადგენდა, თუმცა შესყიდვის გეგმის თავდაპირველ ვერსიაში არ იყო გათვალისწინებული“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორების დასკვნის მიხედვით ირკვევა, რომ აუდიტის ობიექტებზე შესყიდვების სამსახურების მიერ სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენის საკითხისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულების გამო, იქმნებოდა სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები. გარდა ამისა, აუდიტის ობიექტებში შესყიდვების გეგმებთან მიმართებით, ჯამში 90 030 ლარით გადაჭარბებული საკასო შესრულება დაფიქსირდა, რაც გამოწვეული იყო შესყიდვების გეგმის მართვის პროცესში არსებული არასრულყოფილი კონტროლის მექანიზმებით და სახაზინო გადარიცხვების დროს დაშვებული შეცდომებით.

დარღვევები ბაზრის კვლევაში

კანონის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია მოქმედი კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით, ვალდებული იყო ჩაეტარებინა ბაზრის კვლევა, რომლის შედეგებსაც გაითვალისწინებდა შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შედგენისას.

„ორ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის დროს, ბაზრის კვლევა არ ჩატარებულა, ან ჩატარებული კვლევა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აღნიშნული გარემოება არ ემსახურებოდა პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნებს. ბაზრის არასათანადო კვლევის შედეგად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება არასწორად იყო განსაზღვრული. პროცესი არ იყო ფორმალიზებული და ვერ დგინდებოდა, რომელი მეთოდით ხდებოდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა. 2021 წლის 6 დეკემბერს, იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სახის 11 642 ლარის სამშენებლო მასალების შესასყიდად. დადგინდა, რომ სავარაუდო ღირებულება დასაბუთების გარეშე განისაზღვრა ბაზრის კვლევის ეტაპზე მოწოდებულ მინიმალურ ფასებზე 1 400 ლარით მეტი ღირებულებით. აღნიშნულით არ იქნა დაცული ეკონომიურობის პრინციპი“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ, 2021 წლის 12 თებერვალს, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ბალანსზე რიცხული 9 ერთეული ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 983 388 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა, მათ შორის, მინიმალური შეთავაზების ღირებულება 269 094 ლარი იყო, რაც შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე 714 294 ლარით ანუ 72%-ით ნაკლები გახლდათ.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ობიექტებზე შესყიდვების სამსახურის მიერ საქმისადმი არაჯეროვანი დამოკიდებულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის პირობებში, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები იქმნებოდა.

ხარვეზები და ინტერესთა კონფლიქტი ტენდერებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად ირკვევა, რომ 2020 წლის 7 თებერვალს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ავტომანქანის შეკეთებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე. სატენდერო პირობებში წარმოდგენილი მოთხოვნის მიხედვით, პრეტენდენტს, მინიმუმ, ერთი სერვის-ცენტრი მაინც უნდა ჰქონოდა 5 კმ-ის რადიუსში.

„ამ შეზღუდვის გამო, ტენდერში მონაწილეობა არავის არ მიუღია, შესაბამისად, ტენდერი არ შედგა. მოგვიანებით, როდესაც ტენდერის ხელმეორედ გამოცხადებისას, რადიუსად 7 კილომეტრი განისაზღვრა, ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა. 2021 წელს გამოცხადდა ტენდერი იმავე მომსახურებაზე, სადაც მდებარეობის დაშორების შეზღუდვა არ იყო მითითებული. შედეგად, ტენდერში ხუთმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა და შესყიდვა განხორციელდა კონკურენტულ პირობებში. შესაბამისად, სატენდერო პირობების არარაციონალურად ჩამოყალიბებამ გამოიწვია ის, რომ ერთ შემთხვევაში, ტენდერი არ შედგა, ხოლო მეორე შემთხვევაში, ტენდერი ჩატარდა არაკონკურენტულ გარემოში“.

გარდა ამისა, უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 20 აგვისტოს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ავტომანქანის ძრავის შეკეთებაზე. ამ ტენდერშიც მითითებული იყო მოთხოვნა, შემსყიდველის 7 კმ-ის რადიუსში განლაგებაზე. მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრედენდენტმა, შესაბამისად, ტენდერი ჩატარდა უკონკურენტო გარემოში.

2021 წლის 12 აგვისტოს, განათლების სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი მობილური აპლიკაციის – „აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის“ შესყიდვაზე. ტენდერი შეწყდა სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენის გამო. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციის შედგენისას დაშვებულ იქნა ტექნიკური ხარვეზი და ვერ განხორციელდა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი პუნქტის სწორი ფორმულირება.

„2020 წლის 26 ნოემბერს, სსიპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ“ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ბეჭდვით მომსახურებაზე, რომელიც სატენდერო პირობების არასწორად წარმოდგენის შედეგად, კომისიის გადაწყვეტილებით შეწყდა. კონკრეტულად, სატენდერო კომისიის წევრმა სატენდერო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, სადაც

დასასრული მე-8 გვერდზე

ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში და სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები – ანგარიში საქართველოს გენერალურ პროკურატურაშია!

მე-7 გვერდიდან

აღნიშნული იყო მოთხოვნა გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში დაშვებული ტექნიკური შეცდომის შესახებ. კერძოდ, წინადადების მიღება 2021 წლის 4 იანვარს არ შეესაბამებოდა რეალობას, შესაბამისად, „ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების“ სახელმწიფო შესყიდვა ვერ განხორციელდებოდა აღნიშნული თარიღის პირობებში“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ განათლების სამინისტროს მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეული 30 შემთხვევიდან, 26 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო მხოლოდ განათლების სამინისტროს შტამპი (ხელმოწერა), ხოლო უშუალოდ შესყიდვის პროცესში მონაწილე პირების ხელმოწერები არ ფიქსირდებოდა.

„კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ მიერ 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეულ 32 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო სააგენტოს დირექტორის ხელმოწერა, ხოლო შესყიდვების კოორდინატორის ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

დევნილთა სამინისტროს მიერ, 2020-2021 წლებში განხორციელებულ გამარტივებულ შესყიდვებში შერჩეული 60 შემთხვევიდან, 36 შემთხვევაში, ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ ხელწერილებზე წარდგენილი იყო მხოლოდ სამინისტროს შტამპი (ხელმოწერა), ხოლო შესყიდვების მიმართულებით დასაქმებული პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა არ ფიქსირდებოდა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ სატენდერო პირობების განსაზღვრაში დაშვებული შეუსაბამობების გამო, ვერ იქნა უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. მოქმედი კანონის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობითა და არასათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობის გამო, შეიქმნა ინტერესთა კონფლიქტის წარმოქმნის რისკები.

ხარვეზები შესრულებული სამუშაოს ხარისხში

სახელმწიფო აუდიტის მიხედვით ირკვევა, რომ შესაბამისი ხელშეკრულებებით შესრულებულ სამუშაოებზე მოქმედებს საგარანტიო ვადები, თუმცა შემსყიდველ ორგანიზაციებს გონივრულ ვადებში არ აღმოუჩენიათ ხარვეზები და არ გაუტარებიათ სათანადო ღონისძიებები მათი აღმოფხვრის მიზნით. 11 შემთხვევაში გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა, რაც უკავშირდებოდა სამუშაოების უხარისხოდ და არასრულად შესრულებას. ამ ობიექტებზე, 4 100 ლარამდე სამუშაოების შესრულება არ დადასტურდა.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, სსიპ „დევნილთა მომსახურების სააგენტომ“ მხოლოდ სამუშაოების დასრულების შემდგომ მიმართა სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ ფაქტობრივად განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის შესათანხმებლად. აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირდა არსებითი სახის ხარვეზები და დამატებითი შეთანხმებით სახელშეკრულებო ღირებულება, შესაბამისი დანართის გარეშე, გაიზარდა 19 000 ლარით, 217 000 ლარამდე.

„სადეზინფექციო მომსახურების ჩატარების მიმდინარეობისას, ობიექტების სადეზინფექციო სამუშაოების პარალელურად ახორციელებდნენ ფართების აზომვებს, თუმცა აზომვების დამადასტურებელი აქტები წარდგენილი არ ყოფილა. სამუშაოების ჩატარება არ დადასტურებულა აქტით – შესრულებულ სამუშაოებზე ფორმის მიხედვით, რაც მიანიშნებს, რომ არ შესრულდა სატენდერო დოკუმენტაციის პირობები. სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, არასრულყოფილად შედგენილი აქტების, მითითებული ვადების გათვალისწინებით და ჩატარებული სამუშაოების საეჭვო მოცულობებიდან გამომდინარე, ფიქსირდება 107 750 ლარის საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის რისკები“.

პროკურატურაში გადაგზავნილი მასალები

ახლა, ვნახოთ, კონკრეტულად რა მასალებია გადაგზავნილი საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და კონკრეტულად რას იძიებს პროკურატურა.

2021 წელს, სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოში“ განხორციელდა სულ 139 სახელმწიფო შესყიდვა და გაიხარჯა 469 702 ლარი. კერძოდ, ათი კონსოლიდირებული შესყიდვა – 20 137 ლარის საკასო ხარჯით; სამი ელექტრონული ტენდერი – 178 281 ლარის საკასო ხარჯით; 126 გამარტივებული შესყიდვა (ერთ პირთან მოლაპარაკება) – 271 283 ლარის საკასო ხარჯით.

„აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულყოფილად შეუსრულებლობის პირობებში (2 ელექტრონული ტენდერი და 39 გამარტივებული შესყიდვა) მიმწოდებლებზე გადარიცხულმა თანხამ, ჯამში, 314 971 ლარი შეადგინა, რაც სულ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებით გახარჯული თანხის 67.1%-ია. ამ თანხიდან ფიქსირდება: მატერიალური ფასეულობების დანაკლისი – 156 257 ლარი; შეუსრულებელი მომსახურება და სამუშაოები – 25 798 ლარი; დასაზუსტებელი სამშენებლო სამუშაოების მოცულობა (მიმდინარეობს საქართველოს პროკურატურის მიერ დანიშნული ექსპერტიზა) – 132 916 ლარი“.

ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ფინანსთა სამინისტროს მიერ (7 წერილით), უკვე გადაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება, ხოლო ორ შემთხვევაში – გამოტანილია საქართველოს გენერალური პროკურატურის დადგენილება, სააგენტოს დაზარალებულად ცნობის შესახებ. აუდიტის პროცესში არ იყო შესაძლებელი საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება 2021 წელს პროგრამების სააგენტოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნების გამოსატანად.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას 2021 წელს პროგრამების სააგენტოში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობასთან შესაბამისობის თაობაზე.

სამართალი

№30 18 სექტემბერი 2024 წ

თბილისში ცნობილი ბიზნესმენის მძღოლის მკვლელობა სცადეს

არშემდგარი შურისძიების დეტალები

ბათო ჯაფარიძე

დიდ ბიზნესს ყოველთვის ახლავს რისკები, რაღა თქმა უნდა, ყოველთვის არის იმის შანსი, რომ ვინმე, ვისაც მარტივად და სწრაფად დიდი ფულის შოვნა სურს, დაგირეკავს და გეტყვის, რომ გარკვეული თანხა „კაი ბიჭებს“ უნდა გადაუხადო. სამწუხაროდ, დღემდე არაერთი ბიზნესმენი ცდილობს, ყველაფერი ეს სამართალდამცავების ჩარევის გარეშე მოაგვაროს, ურეკავს ნაცნობ, ე.წ. კანონიერ ქურდებს და საბოლოო ჯამში, ხვდება, რომ სჯობდა, საქმეში პოლიცია ჩაერთო. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სამართალდამცავებისთვის მიმართვის შემდეგ, ძალოვნები სიტუაციაში ვერ გარკვეულიყვნენ და დამნაშავე არ დაეპატიმრებინათ.

არცთუ დიდი ხნის წინ, ერთ-ერთმა ბიზნესმენმა პოლიციას მას შემდეგ მიმართა, რაც მას საპირისპირო მხრიდან მოძრავი ავტომობილიდან ესროლეს. სროლა მოულოდნელი იყო, მაგრამ ბიზნესმენის მძღოლმა რეაგირება მოასწრო და „ბოსს“ გადაეფარა, მიწაზე წააქცია და ზემოდან დააწვა. ადგილზე მისულ პოლიციას, რაღა თქმა უნდა, თავდამსხმელი იქ არ დახვდა, მაგრამ ტყვიის ცარიელი მასრა ასფალტზე ეგდო, რაც ხელჩასაჭიდი მტკიცებულება უნდა გამხდარიყო. მასრა ექსპერტიზაზე გაგზავნეს, ბიზნესმენი და მძღოლი კი დაკითხვაზე გადაიყვანეს.

„აბა, რა გითხრათ? ბიზნესი დიდი ხანია მაქვს, ვიღაცას მოვწონვარ, ალბათ, ვიღაცას – არა, მაგრამ ისეთი არავინ მახსენდება, მოსაკლავად რომ გამიმეტოს. რაც შეეხება შავ სამყაროს, ადრე იყო ხოლმე რაღაც გამოხტომები, მაგრამ ყოველთვის მშვიდად ვალაგებდი. ბოლო წლებია, მსგავსი არაფერი ყოფილა. ფაქტი ის გახლავთ, რომ დავინახე, როგორ გამოჰყო ვიღაც ტიპმა ფანჯრიდან ხელი, როგორ გაისროლა ჩემი მიმართულებით და როგორ მიშველა მძღოლმა – მყისიერი რეაგირება ჰქონდა და როცა ტყვია გავარდა, უკვე მიწაზე ვეგდე“, – განაცხადა ბიზნესმენმა.

მძღოლმაც პრაქტიკულად იგივე თქვა, დავინახე, „შეფისთვის“ რომ უნდა ესროლათ, გადავეფარე და მიწაზე დავაგდე, გასროლა რომ გავიგონე, შევეცადე, მისი სხეული მთლიანად გადამეფარა, მაგრამ მანქანა წავიდაო. ავტომობილის ნომერი არცერთს დაუნახავს, მარკა კი „ვოლკსვაგენი“ იყო, თეთრი ფერის, ძველი მოდელი. ასეთი ავტომობილი გატაცებული არ იყო, გამოდიოდა, რომ ან ვინმეს ავტო მოპარეს და ჯერ არ იცოდა, ან თავდამსხმელი საკუთარი მანქანით მოძრაობდა, რაც, ერთი შეხედვით, წარმოუდგენელი ჩანდა. სამართალდამცავებმა ბიზნესმენის თანამშრომლები დაკითხეს და მათ თქვეს, რომ თუ ვინმე ნაწყენი იყო დაზარალებულზე, პირველ რიგში, ბუღალტერი უნდა ყოფილიყო, რომელიც უსამართლოდ გააგდეს. ძალოვნებმა სწორედ მისი დაკითხვა გადაწყვიტეს. ბუღალტერი 50 წლის ქალბატონი იყო, საეჭვო გახლდათ, მას „ქილერი“ დაექირავებინა, მაგრამ წასვლის მიზეზზე მაინც დაეკითხნენ.

„მე, ალბათ, ყველაზე პატიოსანი ბუღალტერი ვარ მთელ მსოფლიოში, ამიტომ ის, რაც არ მომწონდა, ჩემს დამსაქმებელს პირდაპირ ვეუბნებოდი ხოლმე. ბოლოს, სამი წლის წინანდელი საბუთები ვნახე, ვიღაც კაცისგან სამი ბენზინგასამართი სადგური იყიდა და ვუთხარი, რომ გადახდილი თანხა იმის მეოთხედიც კი არ იყო, რაც რეალურად ღირდა. ამაზე ძალიან გაბრაზდა, მიყვირა, შენ ვინ გკითხავსო და მე ვუთხარი, როგორც გავიგე, ის კაცი თქვენი ბავშვობის მეგობარია და რატომ მოატყუეთ-მეთქი? მოკლედ, ამიტომ გამომაგდო და მირჩევნია, პატიოსნად ვიმუშაო და საკუთარ თავთან მართალი ვიყო, ვიდრე თაღლითობაში მივიღო მონაწილეობა. ისე, იმ მეგობარს დავურეკე და ვუთხარი, მოგატყუეს, მეოთხედი თანხაც კი არ გადაგიხადეს-მეთქი“, – განაცხადა ბუღალტერმა.

სწორედ ამ დროს, გამომძიებელთან დაზარალებულმა დარეკა და განაცხადა, რომ მას შეხვედრას... ბავშვობის მეგობარი სთხოვდა, რომელსაც სამი წლის წინ, ბიზნესი წაართვა. სამართალდამცავებმა უთხრეს, რომ შეხვედრას დათანხმებოდა და ჩასაფრება მოაწყვეს. მეგობრები ერთმანეთს სკვერში შეხვდნენ, მოსულმა დაზარალებულს უხეშად უთხრა, განა, არ ვიცი, რომ მომატყუე, რისი ღირსიც ხარ, ეგეც ვიცი, მაგრამ ახლა სხვა რამისთვის ვარ მოსულიო და ჯიბეში ხელი ჩაიყო. ძალოვნებს ეგონათ, რომ ის იარაღს ამოიღებდა, ამიტომ მაშინვე ეცნენ, ხელები გადაუგრიხეს და...

„რა ხდება? გგონიათ, მოვკლავ? არა, პირიქით, ამის მადლობელიც კი ვარ. ჩვენ ერთად დავიწყეთ ბიზნესი, მერე გავიყავით და ამან, ბავშვობის მეგობარმა, ყველაფერი გააკეთა, რომ გავკოტრებულიყავი. მერე, ჩემი ბიზნესი კაპიკებში იყიდა და მე სოფელში წავედი. ის ფული მეყო, მიწა მეყიდა, ხილი გამეშენებინა და ახლა ვფიქრობ, რომ ჩემი საქმე სწორედ ეს არის. საკმარისი ფული მაქვს იმისთვის, რომ უზრუნველად ვიცხოვრო. ახლა კი, გავიგე, რომ ჩემს ნაკვეთებთან ახლოს, ეს არცთუ კარგი კაცი, ახალ ბენზინგასამართს აშენებს. ნახაზები მოვიტანე, იქ, სადაც აშენებს, მინდა, ერთი, პატარა ადგილი გამომიყოს, სადაც ხილს გავყიდი. ძველი ნაცნობობის ხათრით, ან უბრალოდ, მომყიდოს, ან მომაქირაოს... მოკლედ, ბიზნესზე ვარ მოსული და მოკვლა ნამდვილად არ მიფიქრია“, – განაცხადა მეგობარმა და ჯიბიდან ნახაზები ამოიღო.

დაზარალებულმაც დაადასტურა, რომ ის მართლაც აშენებს ახალ ბენზინგასამართ სადგურს და ცოტა არ იყოს, დამშვიდდა, მაგრამ... ვინ ისროლა და რატომ? გამოძიება ახალი მიმართულებით წავიდა. ხომ შეიძლებოდა, ყველაფერი ეს მძღოლს მოეწყო, მეტი ნდობა რომ დაემსახურებინა, ან ხელფასის მომატებაზე „ეჩალიჩა“. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ექსპერტიზის დასკვნით, ტყვიის მასრა ცეცხლსასროლი იარაღის არ იყო, ის, უბრალოდ, მხოლოდ დენთით იყო დატენილი და მხოლოდ ხმა ჰქონდა. ეს ნიშნავს, რომ ბიზნესმენი ვიღაცამ შეაშინა და რატომ არ შეიძლებოდა, ეს ვიღაც სწორედ მძღოლი ყოფილიყო.

„გამორიცხულია. დავიწყოთ იმით, რომ ეს უბრალოდ მძღოლი არ არის, ბიზნესსკოლაში სწავლობს და მძღოლად რომ ავიყვანე, მითხრა, პარალელურად, პრაქტიკას გავივლიო. ყველაფერს გადასარევად ითვისებს, ძალიან კარგი ბიზნესმენი გამოვა. ის ჩემს ქალიშვილზეა დანიშნული, მალე ქორწილი იქნება და ჩემს ბიზნესსაც ნელ-ნელა სრულად გადაიბარებს. ორი ობიექტი უკვე მივეცი, გადასარევად ამუშავებს. ახალ მძღოლს ვეძებთ, მანამდე კი, როგორც მომავალ სიმამრს, ისე მემსახურება. დამისახელეთ ერთი მიზეზი მაინც, რისთვის დასჭირდებოდა ჩემი შეშინება? ყველაზე დიდი, ერთ წელიწადში, საცხოვრებლად ევროპაში წავალ და ყველაფერს ამან უნდა მიხედოს“, – განაცხადა ბიზნესმენმა და... მართალიც იყო. მძღოლს ინტერესი არ უნდა ჰქონოდა, მომავალი სიმამრი შეეშინებინა, თუ დაეშინებინა.

სამართალდამცავები ისევ ფირმის თანამშრომლებს მიადგნენ და ყოველი შემთხვევისთვის, მძღოლზე მაინც ჰკითხეს, ეგებ, ვინმეს ისეთი რამ წამოსცდეს, რასაც ბიზნესმენი ვერ ამჩნევსო.

„ძალიან კარგი, უშუალო და უბრალო ბიჭია. ვოცნებობთ, როდის გადაიბარებს ბიზნესს სრულად, რადგან თავის სიმამრზე აშკარად უკეთესი მმართველი იქნება. ისე, მისი საცოლე სრულიად შემთხვევით ჩაუვარდა ხელში, მანამდე, ჩვენს ერთ-ერთ ხელმძღვანელს უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ ქორწილის დღეს გადაიფიქრა“, – თქვა ერთ-ერთმა თანამშრომელმა. ეს უკვე საინტერესო იყო და გამომძიებლებმა ბიზნესმენის შვილი დაკითხეს.

„ჰო, უცნაური ქორწილი გამოვიდა. ხელი უნდა მოგვეწერა, სუფრა გაშლილი იყო, საპატარძლო კაბა მეცვა. ჰოდა, ხელის მოწერა რომ გადავწყვიტე, მაშინ, თითქოს საიდანღაც ხმა ჩამესმა: – „არა, არა, არა“. კალამი დავაგდე და გამოვიქეცი. ახლაც არ ვიცი, ასე რატომ მოვიქეცი, მაგრამ... არ ვნანობ. ახლა ვისაც მივყვები ცოლად, სწორედ ეს არის ჩემი ოცნების მამაკაცი“, – განაცხადა გოგონამ.

კიდევ ერთმა თანამშრომელმა კი გაიხსენა, რომ ბიჭს, რომელიც ბიზნესმენის სიძე უნდა გამხდარიყო და ვერ გახდა, წლების წინ... თეთრი „ვოლკსვაგენი“ ჰყავდა. გამომძიებლებმა მოახერხეს და პროკურორს ეჭვმიტანილის ბინისა და აგარაკის ჩხრეკის ორდერი მიაცემინეს. ორივე სახლში ჩხრეკა ერთდროულად დაიწყო და ე.წ. სტარტოვკა ძალოვნებმა აგარაკზე იპოვეს. ახალგაზრდა კაცი დააკავეს და ესქპერტიზამაც დაადასტურა, რომ ცარიელი მასრა სწორედ ამ იარაღიდან იყო გასროლილი.

„თქვენ გგონიათ, ასე ადვილია ბოღმის გადაყლაპვა? უკანასკნელი ნაბიჭვარივით, ქორწინების სახლში მიმატოვა და მერე, ორ თვეში, რომანი მძღოლთან გააბა. გგონიათ, ვერ ვხვდებოდი, ან არ მესმოდა, როგორ ქირქილებდნენ ხელქვეითები ჩემს ზურგს უკან? მე თავდაუზოგავად ვმუშაობდი, ის გოგოც მართლა მიყვარდა და დარწმუნებული ვიყავი, ადრე თუ გვიან, ბიზნესი ჩემი გახდებოდა, მაგრამ რაღაც სისულელის გამო, ჩემმა ოცნებამ და გეგმებმა ჩაილურის წყალი დალიეს. გადავწყვიტე, მძღოლი მომეკლა, ჰო, მძღოლი და ამიტომ, ჯერ ფუჭი გასროლა უნდა მომეხდინა, ყველას რომ ბიზნესმენზე ჰგონებოდა, მერე კი, ნამდვილი ტყვია მესროლა და ვითომ ბიზნესმენს ასცდა და მძღოლი იმსხვერპლა. გამოძიება ჩემს კვალზე ვერასდროს გავიდოდა“, – განაცხადა დაკავებულმა და სასამართლომ მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სოფლის ექიმის მკვლელობა

რატომ გაწირა ახალგაზრდამ კოლეგა სასიკვდილოდ

ბათო ჯაფარიძე

კარგი, გამართული ამბულატორია სოფლად დღესაც დიდ ფუფუნებად ითვლება. იმის მიუხედავად, რომ დიდი კლინიკები თუ ქსელური საავადმყოფოები ცდილობენ, ესა თუ ის სოფელი აითვისონ, ბევრი არაფერი გამოსდით, რადგან სოფლებში მოსახლეობის დიდი ნაწილი მუდმივად, უბრალოდ, არ ცხოვრობს, ამიტომ იქ ექიმის და ექთნის ყოფნა თუ დასაქმება წამგებიანია. არადა, იყო დრო, როცა ყველა სოფელში მოქმედებდა ამბულატორია და ორი თუ არა, ერთი ექთანი მუდმივად ადგილზე გახლდათ. ის იყო კარდიოლოგიც, თერაპევტიც და უროლოგიც. სწორედ ასეთ სოფლებში მომუშავე ექთნები, გამოცდილებისა და პრაქტიკის გამო, ცოდნით ხშირად ექიმებსაც სჯობდნენ და სოფლელებში დიდი პატივისცემითაც სარგებლობდნენ. ერთი ეგ იყო, მათთვის სამუშაო გრაფიკი არ არსებობდა და ღამის სამ საათზეც კი შესაძლებელი იყო, რომელიმე სოფლელს უბრალო ან „ბრალიანი“ მიზეზით გაეღვიძებინა და დახმარება ეთხოვა.

ერთ-ერთ სოფელში, პრაქტიკაზე ორი სტუდენტი გაუშვეს. ერთი ადგილობრივი იყო, მეორე – დედაქალაქიდან და ძალიან მალე მათ ხალხის უდიდესი პატივისცემა დაიმსახურეს. ორივე ბიჭი თავდაუზოგავად შრომობდა და ორივემ იმდენი მოახერხა, რომ რაიონის საავადმყოფოს სასწრაფოს ძველი მანქანა გამოართვა, თავისი ხელით გაარემონტა და როცა სჭირდებოდათ, ავადმყოფები სოფლიდან რაიონულ ცენტრში მარტივად მიჰყავდათ. მეტიც, დედაქალაქიდან ჩამოსული ბიჭი ამბობდა, პრაქტიკის დასრულების შემდეგ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ აქ გამანაწილონ, საოცარი სოფელია, საოცარი ხალხით და აქ დავსახლდებიო. მოსახლეობაც კმაყოფილი იყო და... ერთ დღეს, სოფლის ამბულატორიაში, თბილისიდან პრაქტიკაზე ჩამოსული ბიჭი გარდაცვლილი იპოვეს. რა თქმა უნდა, საქმეში მაშინვე სამართალდამცავები ჩაერთვნენ და მათთვის ექსპერტების დასკვნა მოულოდნელი და სამწუხარო იყო – გარდაცვალების მიზეზად ნარკოტიკების გადაჭარბებული დოზა დასახელდა, კონკრეტულად, „მორფის“, რომელიც სოფლის ამბულატორიისთვის იყო გამოყოფილი და რომელიც სეიფში ინახებოდა.

ძალოვნებმა სეიფი დაათვალერეს და აღმოაჩინეს, რომ „მორფის“ დიდი ნაწილი გამქრალი იყო. შეისწავლეს საბუთები, რომლის მიხედვითაც, რაიონული საავადმყოფოსგან მას მუდმივად მიჰქონდა „მორფი“, რათა მისივე თქმით, სოფელში სამი პაციენტისთვის გაეკეთებინა. სამივე პაციენტს სიმსივნე ჰქონდა, ბოლო სტადია და ტკივილების შემსუბუქების ერთადერთი საშუალება სწორედ „მორფი“ იყო. ისე ჩანდა, რომ ბიჭი მათი დოზიდან თავადაც იღებდა ნარკოტიკს, რაც სოფლისთვისაც მოულოდნელი იყო, არასდროს არაფერი შეგვიმჩნევიაო. სამართალდამცავებმა სამივე პაციენტი დაკითხეს და მათ განაცხადეს, რომ „მორფის“ დოზას გარდაცვლილი ლამის ყოველ მეორე-მესამე დღეს ზრდიდა, რადგან „მორფი“ ტკივილს სულ უფრო ნაკლებად აყუჩებდა.

„ვიცოდი, რომ ნარკოტიკებს ეთამაშებოდა, მაგრამ არ მეგონა, თუ ამ დონეზე იყო. რამდენჯერმე ვუთხარი, მიეჩვევი-მეთქი და ის კიდევ მიმტკიცებდა, სუფთა „მორფი“ სისხლს წმენდს, შენც რომ გაიკეთო, ცუდი არ იქნებაო. მე კიდევ, მეშინია ნარკოტიკების და ამიტომ, არ ვიკეთებდი. ახლა, აღარ ვიცი რა ვქნა, დავრჩი ჩემს სოფელში მარტო. სავარაუდოდ, მის გარეშე მუშაობას ვერ შევძლებ და როცა პრაქტიკას დავასრულებ, სოფლიდან წავალ“, – განაცხადა გარდაცვლილის კოლეგამ.

ექსპერტიზამ კი, მორიგი საინტერესო და საყურადღებო დასკვნა დადო. გარდაცვლილს ყვრიმალზე სერიოზული სისხლჩაქცევა ჰქონდა. ექსპერტი ამტკიცებდა, ეს დარტყმა მან სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მიიღო და დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, შესაძლოა, მამაკაცი გათიშულიყოო. ამას გარდა, იმ ერთი ნანემსარის მეტი, ექსპერტმა სხვა ნანემსარი ვერ იპოვა და მტკიცებით ფორმაში თქვა, ნარკომანი ეს არ იყო, ერთადერთი ნაჩხვლეტი აქვს, რომლითაც სხეულში „მორფის“ გადაჭარბებული დოზა შეიყვანეს, რამაც სიკვდილი გამოიწვიაო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბიჭი ჯერ გათიშეს, შემდეგ კი მოკლეს. გამოძიებამ სოფლელების გამოკითხვა დაიწყო და მოულოდნელად, ერთ-ერთმა იქაურმა ძალიან საყურადღებო განცხადება გააკეთა.

„დაახლოებით, ორი თვის წინ, გვერდზე სოფლიდან დარეკეს, ერთი ქალბატონი გახდა ავად. ხიდან ჩამოვარდა, ფეხი მოიტეხა, ღია მოტეხილობა ჰქონდა და რადგანაც იქ ამბულატორია არ არის, ჩვენი ბიჭები წავიდნენ. გარდაცვლილმა ქალს „მორფი“ გაუკეთა, რადგან ის ტკივილისგან იტანჯებოდა, მაგრამ გზაში ქალი გარდაიცვალა. ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ გარდაცვალების მიზეზი ტკივილისგან გამოწვეული შოკი იყო. იმ ქალის მეუღლე იმუქრებოდა, მაგ ექიმს არ ვაცოცხლებ, ცოლი მომიკლაო. ეგებ, ის კაცი დაკითხოთ, მით უმეტეს, იმ დღეს, როცა ექიმი გარდაცვლილი იპოვეს, ჩვენს სოფელში ნახეს და ვინ იცის, იქნებ, სწორედ მან მოკლა“, – განაცხადა მოქალაქემ. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავები მამაკაცის დასაკითხად წავიდნენ.

„მეზობელმა მითხრა, რომ ის ექიმი გარდაიცვალა, როგორც თქვეს, ნარკოტიკითო. არსებობს ღმერთი, ჩემი ცოლისთვის დაენანა ნარკოტიკის გაკეთება, ის ტკივილისგან მოკვდა. ალბათ, თავისთვის სჭირდებოდა, რაც მორჩებოდა. ჰოდა, ახლა ისიც მკვდარია და დამიჯერეთ, საერთოდ არ მეცოდება. მე არ მომიკლავს, თუმცა ამას სიამოვნებით ვიზამდი. რატომ ვიყავი იმ დღეს სოფელში? ექიმი ვნახე, ვუთხარი, შენს ადგილზე, ხალათს გავიხდიდი-მეთქი დ ისევ იმის მტკიცება დაიწყო, რომ მან ყველაფერი სწორად გააკეთა, რომ მისი ბრალი არ არის. წამოვედი, არ ვარ შინაგანად მკვლელი, თორემ მივახრჩობდი“, – განაცხადა კაცმა და ისიც თქვა, მოსაცდელში ვიღაც უცდიდა, ნერვიულად სცემდა ბოლთას, ადრე კი მინახავს ეგ კაცი, მაგრამ ვერ ვიხსენებ, ვინ იყო, მაგრამ არც ჩვენი სოფლელია, არც იმ სოფლელი, უფრო, რაიონში უნდა მყავდეს ნანახიო.

ექსპერტმა, რომელმაც ქალი გაკვეთა და დაადგინა, რომ ის ტკივილის შოკისგან გარდაიცვალა, უცნაური რამ თქვა – „რეალურად, ყველაფერი სწორად იყო გაკეთებული, დოზაც სწორად იყო შეშვებული ორგანიზმში, მაგრამ რატომღაც „მორფმა“ ისე არ იმოქმედა, როგორც უნდა ემოქმედა. ორი ვარიანტია – ან ვადაგასული იყო (რაც გადამოწმდა და გამოირიცხა), ან სუფთა „მორფი“ არ იყო და მასში სხვა ნივთიერება გახლდათ არეული“.

სამართალდამცავებს მორიგი თავსატეხი მიეცათ. მათ ამბულატორიიდან „მორფის“ ორი ფლაკონი აიღეს და ექსპერტიზაზე გაუშვეს. მიღებულმა პასუხმა ისინი კიდევ უფრო დააბნია. „მორფის“ ამპულაში, დაახლოებით, 20% იყო ნამდვილი „მორფი“, დანარჩენი კი უბრალო გამხსნელი გახლდათ ანუ ვიღაც „მორფს“ იღებდა და მის ნაცვლად, გამხსნელს ასხამდა. წესით, ის ვიღაც გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო, თუმცა, როგორ? ის ხომ „მორფის“ მომხმარებელი არ გახლდათ, რაც ექსპერტიზით დადასტურდა. ამასობაში, მამაკაცი, რომლის ცოლიც „ექიმის დაუდევრობით“ გარდაიცვალა, გამომძიებელს ეახლა.

„გამახსენდა... ის კაცი, ვინც მოსაცდელში ვნახე, რაიონში, მთავარი ექიმის საქმროა. ისიც გამახსენდა, რომ ამას წინათ, რაიონში ვიყავი ექიმთან და იქ ექთნები ჭორაობდნენ, ჩვენი მთავარი ექიმის საქმრო გაგიჟებულია, იმ სოფლის ექიმთან შეუსწრო საცოლეს და ახლა მოკვლით ემუქრებაო“, – განაცხადა მან.

სამართალდამცავებმა მამაკაცი დააკავეს, ხელი შეუმოწმეს და მარჯვენა მუშტზე სისხლჩაქცევები ეტყობოდა. როგორც ჩანს, გარდაცვლილს ყბაში სწორედ მან მოსდო, რაც არ დაუმალავს.

„დიახ, ჩამოვიდა და ჩემს საცოლეს თავბრუ დაახვია. იმ დღეს ოთახში შევედი, ეხვეოდა და კოცნიდა. იქ არ მინდოდა სკანდალის ატეხვა, მაგრამ დავპირდი, გნახავ-მეთქი, ვნახე და ყბაშიც მოვდე. გათიშული დაეცა, მაგრამ ნემსი და „მორფი“ არ გამიკეთებია, ამის არაფერი გამეგება. ოთახიდან რომ გამოვდიოდი, გზად ის მეორე შემხვდა, მეორე ექიმი, ის მიდიოდა მასთან ოთახში და იმას მოჰკითხეთ, რა მოხდა მერე“, – განაცხადა დაკავებულმა. სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს, სულ გამორჩათ მხედველობიდან, რომ ნარკოტიკებზე შეიძლებოდა გარდაცვლილის კოლეგას „ეჩალიჩა“, გარდაცვლილს ყველაფერი ეს გაეგო და... გამომძიებელმა გარდაცვლილის თანამშრომლის დაკავებისა და სოფელში მისი სახლის ჩხრეკის ორდერი აიღო. სახლში რამდენიმე ფლაკონში დაფასოებული დიდი რაოდენობით „მორფი“ ნახეს, რითაც საქმე, პრაქტიკულად, გაიხსნა.

„სამედიცინოზე იმიტომ არ ჩამიბარებია, რომ მერე ისევ სოფელში დავბრუნებულიყავი. ამიტომ, როცა აქ გამანაწილეს, გადავწყვიტე, პრაქტიკის პერიოდში ფული მეშოვნა და იდეალური ვარიანტი სწორედ „მორფის“ მოპარვა და ნარჩენის გაზავება იყო. იმდენ „მორფს“ მოვაგროვებდი, რომ ქალაქში დაბრუნების შემდეგ, მისი გაყიდვით მიღებული ფულით ბინასაც შევიძენდი. ჩემს კოლეგას ეჭვი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ის ქალი მოკვდა, თორემ სიმსივნიანებს რომ ვუკეთებდით, ეჭვი არ აუღია, ტკივილები ემატებათო, ამბობდა. აი, ის ქალი რომ მოკვდა, მერე მიხვდა და რამდენიმე ამპულა პირადად შეამოწმა. ძალიან გაბრაზდა, მითხრა, ყველაფერს დააბრუნებ და სამედიცინო სფეროდანაც წახვალო. რა უნდა მეთქვა, „იდეინი“ იყო, წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა. იმ დღეს, როცა ოთახში შევედი, იატაკზე უგონოდ ეგდო და ვიფიქრე, რომ ეს ჩემი შანსი იყო. დიდი დოზა „მორფი“ გავუკეთე“, – ასეთი იყო დაკავებულის მონათხრობი.

სასამართლომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბათო ჯაფარიძე

აუტიზმი ფსიქიკის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ინდივიდს ახასიათებს ჩაკეტილი ცხოვრება და გარე სამყაროსგან სრული მოწყვეტა. ინდივიდი ცხოვრობს მის მიერვე შექმნილ არარეალურ სამყაროში. აუტიზმი გონებრივი მოშლილობაა, რომელიც წარმოიშობა ადრეულ ასაკში და ხასიათდება საკუთარ თავში ჩაკეტვით. შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ აუტიზმი მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოაჩინეს. ის პროფესორმა ლეო კანერმა დააფიქსირა და მალევე გამოჰყო ნიშანთა ერთობლიობა, რომლის არსებობის პირობებში, აუტიზმის დიაგნოზი ისმება. ეს ტრიადა, როგორც მას სპეციალისტები უწოდებენ, შემდეგია: პირველი ნიშანი – სოციალური ურთიერთობების შემცირება, ან ხარისხობრივი გაუარესება, მეორე ნიშანი – სპეციფიკური მეტყველებითი პრობლემები, მესამე – განმეორებადობა, სიახლისადმი ძალიან ნეგატიური დამოკიდებულება, სტერეოტიპების დამკვიდრება. მსოფლიოში ათეულ ათასობით ადამიანია აუტიზმით დაავადებული და მოდით, ისიც ვთქვათ, რომ ბოლო პერიოდში, მათ განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ. აუტისტთა უმრავლესობას კონკრეტული მიმართულებით აქვთ განვითარებული უნარები, ზოგი კარგად ხატავს, ზოგი ციფრებს იმახსოვრებს, ზოგს რა შეუძლია და ზოგს – რა...

მკვლელობა სკვერში

როგორ გახსნეს სამართალდამცავებმა დანაშაული აუტისტი ბავშვის ნახატებით

„ჩემი შვილი აუტისტია, კარგად ხატავს. მუდმივად სკვერში დამყავს და სახლში დაბრუნების შემდეგ, ხატავს იმას, რასაც ხედავს. ძირითადად, ადამიანებს, რომლებიც ძაღლებს ასეირნებენ, ან ხეებს და ბუჩქებს. ბოლო ორი დღეა, ხატავს ორ მამაკაცს, რომელთაგან ერთი დანას ურტყამს მეორეს. გამორიცხულია, ეს მისი ფანტაზიის ნაყოფი იყოს, ამას ვერ მოიფიქრებდა, მან ეს დაინახა და ვფიქრობ, პარკში მოხდა დანაშაული, რომელიც ჩემმა შვილმა დაინახა. ახლა კი, ყველაფერი ეს ქაღალდზე გადმოაქვს“, – შუა ხნის მამაკაცი პოლიციაში ამ განცხადებით მივიდა.

სამართალდამცავებს საქმე ისედაც არ აკლდათ და ახლა, აუტისტი ბავშვის მიერ დახატული ფიგურების მიხედვით, ვიღაც ეძებნათ, ცოტა წარმოუდგენლად ჩანდა, თუმცა განცხადება მაინც მიიღეს და მეტიც, კონკრეტულ გამომძიებელს ჩააბარეს. გამომძიებელმა შეცდომა პირველივე დღეს დაუშვა – ის მამაკაცთან შინ მივიდა და ბავშვთან გასაუბრება მოითხოვა.

„თქვენ, ალბათ, არ იცით, რას ნიშნავს აუტისტი ბავშვი. ის არ დაგელაპარაკებათ და თუ აიძულებთ, თქვენს მიმართ აგრესია გაუჩნდება. ერთადერთი, რაც მას შეუძლია, ხატვაა და მუდმივად ხატავს“, – განაცხადა მამაკაცმა და გამომძიებელი ბავშვის ოთახში შეახედა, სადაც უამრავი ფურცელი, ფანქარი, ფლომასტერი და სხვა სახატავი ნივთი ეყარა.

გამომძიებელმა კეფა მოიქექა და იმ სკვერში წავიდა, სადაც მამას შვილი სასეირნოდ დაჰყავდა. სკვერში ჩვეულებრივად ფუსფუსებდნენ: ვიღაც ძაღლს ასეირნებდა, ვიღაც დადიოდა, ვიღაც დაძუნძულებდა, იქვე მდგარი ფოტოგრაფი გამვლელებს ფოტოს იაფად და ხარისხიანად გადაღებას სთავაზობდა და სწორედ მასთან მივიდა გამომძებელიც.

„ჰო, ვიცი ეგ ბავშვი, ძალიან საინტერესო ტიპაჟია. ჩემთვის, როგორც ფოტოგრაფისთვის არის საინტერესო, სხვადასხვანაირად იხედება და ფოტოებს ხშირად ვუღებ. მამამისი სულ მეჩხუბება, რომ დაგინახოს, რომ ფოტოს უღებ, აგრესია ექნება და შესაძლოა, სკვერში აღარ გამომყვესო, მაგრამ პირობა მივეცი, რომ ვერ დამინახავს და ყოველნაირად ვცდილობ, სურათი ისე გადავუღო, ბავშვი ვერაფერს მიხვდეს. ჯერჯერობით, ვახერხებ და ამ ბავშვის რამდენიმე ასეული ფოტო მაქვს შენახული, უფრო სწორედ, მისი სახეების ფოტოები“, – განაცხადა ფოტოგრაფმა.

გამომძიებელი დაინტერესდა, გადაუღო თუ არა მან ბავშვს სურათები ბოლო სამი-ოთხი დღის განმავლობაში და მანაც თავი დაიქნია. არსებობდა შესაძლებლობა, რომ ფოტოების უკანა ფონზე სწორედ ის ორი მამაკაცი ყოფილიყო აღბეჭდილი, რომელსაც ბავშვი ხატავდა, თუმცა სანამ ფოტოებამდე მივიდოდნენ, ფოტოგრაფმა ყველა იმედი გადაწურა – „რას ამბობთ, ვიღაცას ვიღაც რომ მოეკლა, ხომ დავინახავდი? მით უმეტეს, თუ ობიექტივი მქონდა მიშვერილი. მე პროფესიონალი ვარ, კადრში ყველაფერს ვამჩნევ, მაგრამ რადგან არ იშლით, განახებთ სურათებს და თავად დარწმუნდებით, რომ მართალი ვარ“.

გამომძიებელმა სურათების დათვალიერება დაიწყო, ფოტოგრაფიც ყურადღებით აკვირდებოდა ფოტოებს და უიმედოდ თავს იქნევდა, არაფერი გამომეპარებოდაო, თუმცა მოულოდნელად თავადვე შეკრთა – ერთ-ერთ კადრში, ბავშვის მკაფიო სახის უკან, ჩანდა ორი მამაკაცი, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს იდგნენ და ხელი ქურთუკის საყელოზე ჰქონდათ ჩავლებული. მეორე კადრში – იგივე მამაკაცები, მესამეშიც, მეოთხეში კი, აშკარად ჩანდა, რომ ერთი მათგანი, სავარაუდოდ, გულმკერდის არეში დანას ურტყამდა მეორეს. ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ბავშვის ნახატზე და რაც მთავარია, ამ დროს ბავშვს თავი კამერისკენ კი არა, იმ კაცებისკენ ჰქონდა მიტრიალებული, ფოტოგრაფი კი, სავარაუდოდ, ანგარიშმიუცემლად აჩხაკუნებდა და აჩხაკუნებდა.

„ღმერთო ჩემო, რა სულელი ვარ, ეს როგორ ვერ დავინახე, ეს როგორ ვერ აღვიქვი? თუმცა, თუ მკვლელობა მოხდა, სად არის გვამი? ზურგით ხომ არ გაიტანდა, ყველა დაინახავდა, მაგრამ... საღამოა, მალე დაღამდა და ვინ იცის, ეგებ, ღამე გაიტანეს“, – ფოტოგრაფმა ვერსიების აწყობა დაიწყო, მაგრამ გამომძიებელი აღარ უსმენდა. ის ექსპერტებს უკავშირდებოდა და სთხოვდა, რომ სურათზე, რომელზეც სახეები უბრალოდ არ ჩანდა, ემუშავათ და მათთვის მეტი სიმკვეთრე მიეცათ.

ექსპერტებმა სურათებს დახედეს და თავი გადააქნიეს, ძალიან რთული იქნება, კადრი შორია, ფოკუსიც ბავშვის თავზეა და არა – მათზეო, მაგრამ ის, რომ სკვერში რაღაც მოხდა, ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ფოტოს მიხედვით, ის ადგილი ნახეს, სადაც მამაკაცები იდგნენ და მიწაზე აღებული მუქი ლაქის ნიმუშმა აჩვენა, რომ ეს სისხლი იყო, ადამიანის სისხლი.

„საუკეთესო შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს მკვლელობის მცდელობა, ცუდ შემთხვევაში, ჩვეულებრივი მკვლელობა და მკვლელი თავისუფალია, ხოლო დაჭრილი თუ გვამი, არ ვიცით, სად არის. გადაატრიალეთ ყველაფერი, საავადმყოფოები, კერძო კლინიკები, ექიმები, რომლებიც სახლში მკურნალობენ და იპოვეთ გულმკერდის არეში დაჭრილი“, – გამომძიებელი თათბირზე აშკარად ხმამაღლა საუბრობდა.

ბევრი ძებნა საჭრო არ გახდა, ოპერმუშაკებმა სკვერთან ახლოს საეჭვოდ გაჩერებული მანქანა იპოვეს და მის საბარგულში გვამი იდო – მკერდში გამჭოლი ჭრილობით. ავტომობილმა კი მათი ყურადღება იმიტომ მიიქცია, რომ ჯერ ერთი, დარღვევით იდგა და მეორეც, მინაზე მტვერი ედო ანუ იმ ადგილზე, რამდენიმე დღის განმავლობაში იდგა. მოკლულის ვინაობა მალე დაადგინეს, ავტომობილიც მისი იყო, მაგრამ ვერც მკვლელობის იარაღი და ვერც თითის ანაბეჭდები მანქანაში ვერ იპოვეს. ერთადერთი, მას ფრჩხილებში მატერიის ნაწილაკები ჰქონდა შერჩენილი და ექსპერტმა თქვა, ეს ყავისფერი ლაბადის ნაწილაკებიაო და... აუტისტი ბავშვიც მკვლელს სწორედ ყავისფერი ლაბადით ხატავდა. ახლა ის იყო მთავარი, სამართალდამცავებს ეს ლაბადიანი კაცი მოეძებნათ. გარდაცვლილს მშობლები სოფლად ჰყავდა, ქალაქში მისი და ცხოვრობდა, რომელმაც ძმის მკვლელობა პოლიციისგან გაიგო და ექიმების ჩარევა გახდა საჭირო იმისთვის, რომ დაემშვიდებინათ, ნემსი გაეკეთებინათ და ის ისტერია, რომელიც მას დაემართა, როგორმე შეემსუბუქებინათ. როცა დამ საუბარი შეძლო, გამომძიებელს უაზრო თვალებით შეხედა და ისევ ტირილი აუვარდა, თუმცა წამალი აშკარად მოქმედებდა და ნერვული შეტევა ისეთი მძაფრი აღარ იყო.

„ჩემი ძამიკო... ვის რას უშლიდა, ვის რას უშავებდა“, – მოთქვამდა ქალი. გამომძიებელმა უკვე იცოდა, რომ გარდაცვლილი კრიმინალურ ისტორიებში არ იყო გახვეული, მუშაობდა, მცირე ბიზნესიც ჰქონდა, დას ერთოთახიანი უყიდა, თავად საბურთალოზე, სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა და ცოლის მოყვანასაც აპირებდა. საქმრო დასაც ჰყავდა და და-ძმა ქორწილს ორ თვეში, ერთად გეგმავდა, ახლა კი...

სწორედ მაშინ, როცა გამომძიებელი ცდილობდა, გარდაცვლილის დისთვის რაღაც მაინც ეთქმევინებინა, ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოიჭრა და ყვირილი დაიწყო – „შეეშვით ჩემს საცოლეს, ის არ კმარა, რომ ძმა მოუკლეს, ახლა თქვენ სტანჯავთ სულელური კითხვებით. რა უნდა იცოდეს და საიდან უნდა იცოდეს, ვინ გაიმეტა ის საცოდავი, უწესიერესი და უპატიოსნესი კაცი. ეს თქვენი, სამართალდამცავების ბრალია, კრიმინალი რომ ასე დათარეშობს“, – ყვიროდა კაცი, მაგრამ გამომძიებელს არაფერი ესმოდა, ის მონუსხული უყურებდა სასიძოს ტანზე კარგად მომდგარ ყავისფერ ლაბადას, რომელსაც ერთ ადგილზე, მკრთალად, მაგრამ მაინც ემჩნეოდა მუქი წერტილი, რომელიც, სავარაუდოდ, სისხლის ლაქამ დატოვა. ძალოვანმა, რაც შეიძლება მშვიდად, მოსულს უთხრა, ეგებ, ორიოდე კითხვაზე თქვენც გვიპასუხოთო და სასაუბროდ მანქანაში მიიწვია – შენი საცოლე არ დავძაბოთო და ისიც სიხარულით დათანხმდა. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა მანქანის უკანა სავარძელზე დაჯდომისთანავე, ორივე მხრიდან ოპერმუშაკები შემოუსხდნენ და ბორკილი დაადეს. ორ საათში, ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ლაბადაზე სისხლის ლაქა გარდაცვლილს ეკუთვნოდა და დაკავებულსაც სხვა გზა არ ჰქონდა, აღიარებითი ჩვენება მისცა.

„მკვლელობა წინასწარ დაგეგმილი არ მქონია, სკვერში ჩემს საყვარელთან ერთად ვიყავი, იმ უბედურს კი, ვიღაცასთან შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი. მაშინ დამინახა, როცა გოგოს ვკოცნიდი და გაგიჟდა, მალე ქორწილია და რას აკეთებ, ჩემს დას ყველაფერს ვეტყვიო. როგორ არ ვეხვეწე და ვემუდარე, არაფერმა გაჭრა. ისე, ის დანა ჩემი არ იყო, მან ამოიღო და მითხრა, მომშორდი, თორემ ყელს გამოგჭრიო. დანა წავართვი და ანგარიშმიუცემლად გავუყარე. ახლაც მიკვირს, როგორ ვერ დაგვინახა ვერავინ, ალბათ, იმიტომ, რომ უხმოდ, კრიჭაშეკრულები ვძიძგილაობდით“, – განაცხადა დაკავებულმა.

მოგვიანებით, ძიების დასასრულს გაირკვა, რომ დანა მართლაც გარდაცვლილის იყო (დამ ამოიცნო) და წინასწარ განზრახვით მკვლელობა გამოირიცხა. სასამართლომ ბრალდებულს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რადგან ადვოკატმა დაამტკიცა, რომ ის აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ევროპის პოლიციის კოლეჯთა ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციას და მმართველი საბჭოს შეხვედრას მასპინძლობს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე გელა გელაძესთან ერთად, ევროპის პოლიციის კოლეჯთა ასოციაციის ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია გახსნა.

ღონისძიებას, რომელშიც ევროპის 26 ქვეყნის წამყვანი საპოლიციო საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები მონაწილეობენ, მიმდინარე წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია მასპინძლობს.

საერთაშორისო კონფერენციის – „ხელოვნური ინტელექტი საპოლიციო განათლებაში“ მსვლელობისას, გერმანიის, იტალიის, უკრაინის, ისრაელის, უნგრეთის, შვეიცარიისა და ჩეხეთის რესპუბლიკის პოლიციის საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა მონაწილეებს საპოლიციო სწავლებაში გამოყენებული ინოვაციური მიდგომების შესახებ გამოცდილება გაუზიარეს.

ღონისძიებების ფარგლებში, დაგეგმილია ევროპის პოლიციის კოლეჯთა ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრთა შეხვედრა, რა დროსაც ასოციაციის ახალი პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება. საპოლიციო განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით კი, კონფერენციის მონაწილეები სამომავლო აქტივობებს განიხილავენ.

ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში სამ დღეს გასტანს და 11 სექტემბერს დასრულდება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია AEPC-ის წევრი 17 წლის წინ გახდა, 2017 წლის 5 მაისს, არჩეული იქნა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის მუდმივმოქმედ წევრად, ხოლო 2023 წლიდან დღემდე ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი, ვახტანგ გაბრიჭიძე იკავებს.

კახეთის პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის საგარეჯოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1993 წელს დაბადებული ვ.კ. ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 2 ცეცხლსასროლი იარაღი და 59 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

პროკურატურა: „ბრალდება წარედგინა ორ პირს, რომლებიც მოქალაქეებზე ჰყიდდნენ იმ საცხოვრებელ ბინებს, რომლებიც სხვა პირებზე იყო იპოთეკით დატვირთული, ან გაყიდული, ზოგ შემთხვევაში კი კორპუსი საერთოდ არ აშენდა“

პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა ორ პირს, რომლებიც მოქალაქეებზე ჰყიდდნენ იმ საცხოვრებელ ბინებს, რომლებიც სხვა პირებზე იყო იპოთეკით დატვირთული, ან გაყიდული, ზოგ შემთხვევაში კი კორპუსი საერთოდ არ აშენდა. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, ამ გზით ბრალდებულები 73 დაზარალებულის კუთვნილ, ჯამში, 4 163 620 ლარს მოტყუებით დაეუფლნენ.

„საქართველოს პროკურატურამ, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების ფაქტებზე, სამშენებლო კომპანიის დირექტორს და ამავე კომპანიის დირექტორის უფლებამოსილების მქონე პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ სამშენებლო კომპანიის – შპს „დიღომი თაუერის“ დირექტორმა და ამავე კომპანიის დირექტორის უფლებამოსილების მქონე პირმა კომპანიას სახელწოდება შპს „თიმ დეველოპმენტით“ შეუცვალეს და განვადებით ან ნასყიდობით შეძენის ხელშეკრულების საფუძველზე, მოქალაქეებზე ჰყიდდნენ სოფელ დიღომში, ოთხი ათასი მესხის ქუჩაზე მდებარე მშენებარე კორპუსში საცხოვრებელ ბინებს. რეალურად კი აღნიშნული ფართები უკვე სხვა პირებზე იყო იპოთეკით დატვირთული, ან გაყიდული, ზოგ შემთხვევაში კი კორპუსი საერთოდ არ აშენდა. ამ გზით ბრალდებულები 73 დაზარალებულის კუთვნილ, ჯამში, 4 163 620 ლარს მოტყუებით დაეუფლნენ.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული12 სექტემბერს დააკავეს. მათ ბრალდება არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ჯგუფურად ჩადენილი დიდი ოდენობით თაღლითობის ფაქტებზე წარედგინათ.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება ბრალდებულების მიერ შესაძლო ჩადენილ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებზე“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადება გამოძიების ფარგლებში აღძრულ ერთ-ერთ საქმეზე

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური განცხადებას ავრცელებს, რომელიც გამოძიების ფარგლებში აღძრულ ერთ-ერთ საქმეს ეხება.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, საქმის დეტალები ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ არასწორად გააშუქა.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, გვსურს, გამოვეხმაუროთ ერთ-ერთი მედიასაშუალებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების დეზინფორმირებას და საგამოძიებო ორგანოს დისკრედიტაციას.

გაცნობებთ, რომ ერთ-ერთი კომპანიის საჩივრის საფუძველზე, 2024 წლის 23 იანვარს, აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე. აღნიშნული საქმე, 2024 წლის 1 მარტს, გამოძიების მიზნით, გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.

გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, გ.ჩ.-ს და ი.პ.-ს დაქვემდებარებაში არსებულმა კომპანიამ აიღო ვალდებულება, საზღვარგარეთ 1 155 019 ლარის ღირებულების იახტის შეძენასა და დაზარალებული კომპანიისთვის მიწოდებაზე. 2022 წლის 10 სექტემბერს, მათ შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის პირობებიც არაერთხელ შეიცვალა. გ.ჩ.-სა და ი.პ.-ს მიერ არ მომხდარა დაზარალებული კომპანიისთვის ნასყიდობის საგნის მიწოდება და დღეის მდგომარეობით, კომპანიისთვის დაბრუნებული თანხა შეადგენს მხოლოდ 50 000 ევროს.

გამოძიების პროცესში მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე, ხსენებული პირების მიმართ, 2024 წლის 4 ივლისს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

ბრალდებულების მიმართ, მოსამართლის განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია გირაო და პროკურორის ნებართვის გარეშე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის უფლების აკრძალვა. სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვის მიზნით გადაგზავნილია სასამართლოში.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ ბრალდებულებთან ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს ესწრებოდა მათივე ინტერესების დამცველი ადვოკატი, გამოძიების მხრიდან ბრალდებულების მიმართ ადგილი არ ჰქონია არანაირი სახის ზეწოლას ან მუქარას.

სატელევიზიო ეთერით გასული, საქმეზე განსასჯელი პირის მიერ გაკეთებული განცხადებები სიცრუეა და მიზნად ისახავს საგამოძიებო სამსახურის დისკრედიტაციას“, – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

საქართველო სრული სვლით და გაბორგებული ალბანელები

ერთა ლიგის წლევანდელი გათამაშება საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ძალიან წარმატებულად დაიწყო. ჩვენმა გუნდმა ჯერ თბილისში მოუგო ჩეხეთს, შემდეგ კი, ტირანაში, ალბანეთი დაამარცხა. მოდით, ვაღიაროთ, ერთი-ორი წლის წინ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენი გუნდი ამას მოახერხებდა, ახლა კი... საქართველო მსოფლიოს ნაკრებს რომ შეხვდეს, გამარჯვებას მოვთხოვთ, რადგან ჩვენი ბიჭები აშკარად თავდაჯერებულები არიან და რაც მთავარია, მათ კლუბებში აქვთ სათამაშო პრაქტიკა და იქაც ლიდერების პოზიციაზე ასპარეზობენ.

არადა, ალბანელები იმუქრებოდნენ, ქართველებს ჯოჯოხეთს მოვუწყობთ და კუდით ქვას ვასროლინებთო, მაგრამ შეხვედრა ისე დასრულდა, ალბანეთის ნაკრების წევრებს მამარდაშვილის კარის ჩარჩოში ბურთი ერთხელაც არ დაურტყამთ. ჩვენ კი... ჩვენ გიორგი ქოჩორაშვილის საოცარი გოლით ვიმარჯვეთ და ქულათა მაქსიმუმით ჯგუფს ვლიდერობთ. ნამატჩევს, ალბანელმა გულშემატკივარმა ობსტრუქცია საკუთარ ფეხბურთელებსაც მოუწყო, ცემას გადარჩა ნაკრების მეკარე სტრაკოშა, რომელსაც გოლის გაშვებაში ადანაშაულებდნენ (არადა, რომ არა სტრაკოშა, ანგარიში ბევრად შთამბეჭდავი იქნებოდა). რაც ყველაზე საწყენია, ალბანელებმა ჩვენი ეროვნული ჰიმნის დროს, ისეთი სტვენა მორთეს, მუსიკის ჰანგები ძლივსღა ისმოდა. ახლა, ბევრი ქართველი აკეთებს მოწოდებას, ალბანელებთან რომ გვექნება შეხვედრა, პატივისცემის ნიშნად, ჩვენ არ დავუსტვინოთო, მაგრამ, ეგებ, გვეყოფა ეს თავგადაკლული სტუმარ-მასპინძლობა და ზუსტად ისე ვუპასუხოთ მეტოქეს, როგორც იმსახურებს და როგორც თავად იქცევა. შეგახსენებთ, საბერძნეთთან გადამწყვეტი მატჩის დროს, გადაჭედილ „დინამო არენაზე“, სტუმართა ჰიმნის დროს, ისეთი ყიჟინა დასცა გულშემატკივარმა, ბერძნებს მთელი 120 წუთი ეტყობოდათ, რომ დათრგუნულები იყვნენ და ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატზე გავედით. ჰოდა, თუ ჩვენს ბიჭებს ეს დაეხმარებათ, უნდა ვუსტვინოთ და იცოდეს მეტოქემ, რომ ჩვენც შეგვიძლია ცუდის გაკეთება.

ჰო, ალბანეთს, 14 ოქტომბერს, 20.00 საათზე ვხვდებით, მანამდე, 11 ოქტომბერს, სტუმრად უკრაინას ვეთამაშებით. უკრაინას მასპინძელი პირობითად ერქმევა, რადგან გასაგებ მიზეზთა გამო, ისინი საქართველოს ნაკრებს პოლონეთში მიიღებენ, ამიტომ ფსიქოლოგიური წნეხი არანაირად არ უნდა გვქონდეს. ჯგუფის მოგება მაქსიმალური ქულებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ძალიან, ძალიან დიდია იმის შანსი, რომ მსოფლიოს 2026 წლის ჩემპიონატზე, სწორედ ერთა ლიგისა და პლეი-ოფის გავლით მოვხვდეთ და ქართველებისთვის მორიგი ზღაპარი დაიწყოს, ზღაპარი, რომელშიც ევროპის დონეზე უკვე ვიცხოვრეთ.

შეთნხმება ვერ ხერხდება – დე ლაურენტისმა კვარაცხელია მოატყუა?

მიმდინარე სეზონის დაწყებამდე, ბევრი ვარაუდობდა, რომ ხვიჩა კვარაცხელია „ნაპოლის“ დატოვებდა და ბევრად ამბიციურ კლუბში გადავიდოდა, თუმცა ნეაპოლელების მთავარ მწვრთნელად ანტონიო კონტეს დანიშვნამ ბევრი რამ შეცვალა. კონტე პირადად ესაუბრა ქართველ შემტევს და დაარწმუნა, რომ მისი გუნდში დარჩენა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ მთელი „ნაპოლის“ სათამაშო სქემა, სწორედ კვარაცხელიას გარშემო უნდა აგებულიყო და ამასთან ერთად, კონტემ ისიც თქვა, რომ კლუბის პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისი მის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა და სასაცილო ხელფასს (წელიწადში 1.3 მილიონი ევრო) მნიშვნელოვნად გაზრდიდა.

ხვიჩაც დარჩა, მისმა წარმომადგენლებმა მოლაპარაკებები დაიწყეს და ახლა, ეს მოლაპარაკებები ჩიხშია შესული. საქმე ის გახლავთ, რომ კვარაცხელიას აგენტები მისთვის წლიურ ჯამაგირად 8 მილიონ ევროს ითხოვენ (ამბობენ, 7-ზეც დათანხმდებიანო), ხოლო დე ლაურენტისი, ბონუსების ჩათვლით, მხოლოდ 5 მილიონის გადახდაზეა თანახმა. არადა, სატრანსფერო სეზონი დასრულებულია და თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ კვარას, მინიმუმ, ზამთრამდე, გუნდში დარჩენა და ძველ ხელფასზე თამაში მოუწევს.

„ნაპოლის“ გულშემატკივრები დე ლაურენტისს მოუწოდებენ, კვარაცხელია ნებისმიერი ფორმით შეინარჩუნოს და 7-8 მილიონი კი არა, წლიურ ჯამაგირად 15 მილიონი დაუნიშნოს, მაგრამ თაღლითობაში გაწაფული სინიორ აურელიო, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობს და ქართველი მარგალიტის შენარჩუნება იაფად უნდა, რასაც, ყველაზე ცუდ შემთხვევში, ზამთრამდე მოახერხებს. მერე კი, ტყუილი დაპირებებით, ფონს გასვლა აშკარად გაუჭრდება.

უკრაინელი მეკარე ბელორუსში გაიქცა

35 წლის კიპერი, დენის შელიხოვი ქართველი გულშემატკივრისთვისაც არის ცნობილი. თავის დროზე, ის „საბურთალოს“ ღირსებას იცავდა, ახლა კი უგუნდოდ გახლდათ. შელიხოვი, რომელიც ხერსონშია დაბადებული, ახალ კლუბს გამალებით ეძებდა და...

„მე ბელორუსული „სლავია მოზირიდან“ დამიკავშირდნენ, კარგი ჯამაგირი და კონტრაქტი შემომთავაზეს. არადა, უკრაინელ მოთამაშეებს, ბელორუსსა და რუსეთში წასვლა და თამაში აკრძალული გვაქვს, ამიტომ იძლებული გავხდი, ჯერ უნგრეთში გადავსულიყავი, უნგრეთიდან – პოლონეთში, იქიდან კი, მდინარის გადაცურვის შედეგად, დანიშნულების ადგილზე მოვხვდი. მე პატრიოტი ვარ, მაგრამ ორ-სამ წელიწადში, კარიერას დავასრულებ და თუ გარკვეულ თანხას ახლა არ გამოვიმუშავებ, შიმშილით სული ამომძვრება მეც და ჩემს ოჯახსაც“, – განაცხადა შელიხოვმა.

რა ძნელი მისახვედრია, რომ ის უკრაინაში სამშობლოს მოღალატედ უკვე შერაცხეს.

ქეცბაიამ კვიპროსის ნაკრები დატოვა



კვიპროსის ეროვნული ნაკრების თავკაცმა, თემურ ქეცბაიამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან, გეორგიოს კუმასთან შეხვედრა მოითხოვა. კვიპროსული მედია ვარაუდობდა, რომ ქართველი სპეციალისტი გადადგომას მოითხოვდა და ასეც მოხდა. ერთა ლიგის პირველ ტურში, კვიპროსმა სტუმრად ლიეტუვა 1:0 დაამარცხა და ამ მატჩის შემდეგ გამრთულ პრესკონფერენციაზე, ქეცბაიამ კვიპროსელ გულშემატკივარს მიმართა.

„ეროვნული ნაკრები არც ჩემია და არც ვინმესი, ის ქვეყანას ეკუთვნის. თქვენ გაქვთ უზარმაზარი მოთხოვნები, გაქვთ პრეტენზიები, მაგრამ არ გსურთ, გვერდში დაგვიდგეთ. აგერ, მომდევნო შეხვედრა შინ გვაქვს, რვაათასიან სტადიონზე და გთხოვთ, მოხვიდეთ, მხარი დაგვიჭიროთ, გვაგრძნობინოთ, რომ გვერდში გვიდგახართ“, – განაცხადა ქეცბამ.

ჰოდა, ერთა ლიგის მეორე ტურში, კვიპროსელებმა შინ ლამის ცარიელი ტრიბუნების წინ ითამაშეს და კოსოვოსთან უშანსოდ, 0:4 დამარცხდნენ. ადგილობრივმა მედიამ ქეცბაია და მისი შეგირდები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა.

„დავიწყოთ იმით, რომ ნაკრების დონის მოთამაშეები უბრალდო არ გვყავს. ექვსი-შვიდი ფეხბურთელია ისეთი, რომელსაც სანაკრებო დონეზე ასპარეზობა შეუძლია, დანარჩენები კი კლუბებშიც ვერ თამაშობენ. ეს იმის ბრალია, რომ კვიპროსის ჩემპიონატში კლუბები აქცენტს ძირითადად ლეგიონერებზე აკეთებენ და ნაკრებისთვის ფეხბურთელი უბრალოდ ვერ იზრდება. ამას გარდა, არც გულშემატკივარს სურს, სტადიონზე მოვიდეს და მხარი დაგვიჭიროს. ოთხ დღეში, ორი ურთულესი მატჩი გვქონდა, დასვენებულმა გუნდმა სტუმრად იმარჯვა, გადაღლილმა – შინ წააგო. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, თქვენ გინდათ ყველაფერი და სანაცვლოდ არ იძლევით არაფერს“, – განაცხადა ქართველმა სპეციალისტმა, რის შემდეგაც ფედერაციის პრეზიდენტს შეხვდა და მოქმედი კონტრტაქტი გაწყვიტა.

მთლიანობაში, ქეცბაიას ხელმძღვანელობით, კვიპროსის ნაკრებმა 20 მატჩი გამართა, საიდანაც 5 მოიგო, 2 ფრედ დაასრულა, 13-ში კი დამარცხდა.

მბაპემ „პსჟ“-ს 55 მილიონი მოუგო, მაგრამ...



მოგეხსენებათ, კილიან მბაპემ აგვისტოში ფრანგული „პარი სენ ჟერმენი“ დატოვა და „რეალში“ უფასოდ გადაბარგდა. მხოლოდ ამ გადაწყვეტილების გამო, მადრიდელებმა 25 წლის შემტევს, ბონუსის სახით, 100 მილიონი მისცეს და ამას გარდა, მისი წლიური შემოსავალი „სამეფო გუნდში“ 45 მილიონი ევრო იქნება. ჰოდა, მბაპე ახლა ყოფილ კლუბს სთხოვს 55 მილიონ ევროს და პრინციპში, რაღას სთხოვს, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში, ეს დავა მოიგო კიდეც და პარიზელებს ფეხბურთელის ანგარიშზე 55 მილიონის ჩასარიცხად ერთკვირიანი ვადა მისცეს, თუმცა მათ გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრეს და იმედი აქვთ, რომ გამარჯვებული გამოვლენ, რისი შანსიც, რეალურად ძალიან მცირეა.

„პარი სენ ჟერმენის“ იურისტი ამბობს, რომ მათ მბაპესთან მოლაპარაკება ჰქონდათ, რომლის მიხედვითაც, თუ ის კლუბს უფასოდ დატოვებდა, გარკვეულ ჯამაგირსა და ბონუსებზე უარს იტყოდა, რაზეც მან თანხმობა განაცხადა. ახლა კი, ფეხბურთელი ამბობს, რომ ასეთი შეთანხმება არ ახსოვს, კლუბი კი, შეთანხმების არსებობას ვერ ამტკიცებს, რადგჰან ეს ყველაფერი ზეპირი იყო და არანაირი დოკუმენტი არ გაფორმებულა. ახლა მბაპე კუთვნილს ითხოვს და „პსჟ“-ს ძალიან გაუჭირდება იმის დამტკიცება, რომ მოთამაშესთან, 2023 წელს, ზეპირ შეთანხმებას მიაღწია 55 მილიონზე უარის თქმის თაობაზე“, – წერს ფრანგული მედია და...

თურმე, ასეთი რამ ევროპაშიც ხდება – ვიღაცა ვიღაცას ზეპირად ენდო, რომ ის 55 მილიონს არ მოსთხოვდა... ჰო, 55 მილიონს!

მარსელო და ბურთები

მადრიდის „რეალისა“ და ბრაზილიის ნაკრების ლეგენდარულ ფეხბურთელს, მარსელო ვიეირა და სილვა ჟუნიორს, ან უბრალოდ მარსელოს, ყველა კარგად იცნობს. მხოლოდ „სამეფო გუნდში“, მას 22 ტიტული აქვს მოგებული და მთელი 12 წლის განმავლობში, ამ გუნდის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო. ჰოდა, ახლა, ვეტერანმა მოთამაშემ ძალიან საინტერესო ისტორია გაამხილა და გაამხილა მას შემდეგ, რაც ერთსა და იმავე მაღაზიაში, არაერთხელ და ორჯერ, უამრავი ბურთი შეიძინა.

„როცა 10 წლის ვიყავი, დედას ვთხოვე, ჩემთვის ბურთი ეყიდა, მაგრამ მან მითხრა, რომ ფული არ ჰქონდა. ამის შემდეგ, ჩვენს უბანში, ბურთების გამყიდველთან მივედი და ვთხოვე, ერთი ბურთი მაჩუქე და დიდი ფეხბურთელი რომ გავხდები, ორმაგად გადაგიხდი-მეთქი. ჩემს ნათქვამზე გამყიდველს გულიანად გაეცინა და მითხრა, არ მინდა ორმაგი, ბედნიერი ვიქნები, თუ შენ დიდ ფეხბურთს ითამაშებ და საუკეთესო ბურთი მაჩუქა. მას შემდეგ, როცა მშობლიურ ქალაქში ჩავდივარ, აუცილებლად მივდივარ იმ მაღაზიაში და ვყიდულობ ყველა ბურთს, რომელიც გასაყიდად არის გამოტანილი, შემდეგ ამ ბურთებს იმ ბიჭებს ვურიგებ, რომლებსაც მისი შეძენის შესაძლებლობა არ აქვთ. ვინ იცის, ეგებ, ახალი ვარსკვლავი სწორედ ასე დაიბადოს“, – განაცხადა მარსელომ და ის კი აღარ უთქვამს, რომ ბურთების გამყიდველ კაცს, თავის დროზე, უზარმაზარი სახლი აჩუქა.

წვიმის მოყვარული კაცის ამბავი

გურამ პეტრიაშვილი

პატარა ქალაქში ცხოვრობდა კაცი, რომელსაც წვიმა უყვარდა ძალიან. ის წინასწარ გრძნობდა ხოლმე წვიმის მოსვლას, გავიდოდა ქუჩაში და ხელებგაშლილი შეჰყურებდა ცას. ამას რომ დაინახავდნენ, გამოეფინებოდნენ ქუჩაში ბავშვები და კაცთან ერთად ელოდნენ წვიმას.

გაწვიმდებოდა.

იდგა კაცი და სველდებოდა. მის ირგვლივ ბავშვები დახტოდნენ.

– ბავშვებს რომ უხარიათ წვიმაში ხტუნვა, გასაგებია, მაგათ რა მოეთხოვებათ, მაგრამ შენ, ამხელა კაცს რა მოგდისო? – ეკითხებოდნენ ხანდახან.

კაცი მხოლოდ ამას ეტყოდა ხოლმე პასუხად:

– წვიმა ციდან მოსული წყალიაო.

ძალიან უყვარდა კაცს წვიმა, რაც არ უნდა დიდი საქმე ჰქონოდა, მაინც დათმობდა წვიმაში დგომის გულისთვის. ხან ძილში იგრძნობდა, წვიმა უნდა მოვიდესო და შუაღამისას გამოვარდებოდა ქუჩაში...

ერთ დღეს ხელებგაშლილი რომ იდგა წვიმაში, იგრძნო, ხელისგულზე რაღაც დაეცა მსუბუქად. დახედა: გამჭვირვალე ცისფერი მარცვალი იყო. კაცს ასეთი მარცვალი არასოდეს ენახა და ჩაფიქრდა, ნეტავ, რა უნდა იყოსო. წვიმამ რომ გადაიღო, კაცმა ის მარცვალი ქოთანში ჩათესა და ქოთანი აივანზე გადგა. კაცი სწორად მიხვდა, რაც უნდა ექნა. ქოთანში ყვავილი ამოვიდა.

ყვავილი პატარა ბავშვის სიმაღლისა იყო, გრძელი, ბრტყელი ფოთლები ძირს ჰქონდა დაშვებული. იდგა ყვავილი აივნის მოაჯირზე. რომ გაწვიმდებოდა, გაშლიდა ჩამოკეცილ ფოთლებს და აელვარდებოდა ცისფრად. ეცემოდნენ ყვავილს წვიმის წვეთები და ყველა წვეთი გამჭვირვალე, ნაირფერ მარცვლებად იქცეოდა. მარცვლები ქუჩაში ცვიოდა და ბავშვები კრეფდნენ... მიჰქონდათ სახლში ის მარცვლები ბავშვებს და თესავდნენ ქოთნებში... და მალე, ყველა სახლის აივანზე იდგა ყვავილები. გაწვიმდებოდა, გაიშლებოდნენ ყვავილები და თითქოს, უცებ განათდებოდა ქალაქი. სულ სხვადასხვა შეფერილობის იყვნენ ყვავილები: ზოგი – წითელი, ზოგი – მწვანე, ზოგი – ჭრელი, ზოგი ქობიანი იყო, ზოგი – კოპლებიანი და კიდევ ვინ მოთვლის, როგორი. მოხატულები ათასნაირად. ლამაზად...

აფრქვევდნენ სურნელებას...

მოდიოდა წვიმა. კრეფდნენ ბავშვები ცისფერი ყვავილის დაცვენილ, გამჭვირვალე მარცვლებს. ემატებოდა ყვავილები პატარა ქალაქს და ქალაქი ერთ დიდ თაიგულს ემგვანებოდა. იდგა ბედნიერი კაცი წვიმაში... მერე ქალაქის ქალიშვილებმა, აი, რა მოიგონეს... რომ გაწვიმდებოდა, აიღებდნენ ქოთნებს და ქუჩაში გამოჰქონდათ ყვავილები. დაატარებდნენ ყვავილებს, უღიმოდნენ ერთმანეთს. მკერდზე იხუტებდნენ ქოთანს, მათ თავს ზემოთ კი ყვავილები იყო გაშლილი. ეს ყვავილები იყო პირველი ქოლგები ამქვეყნად. დადიოდნენ ქალიშვილები წვიმაში, მოხიბლულები ქოლგა-ყვავილზე წვიმის წვეთების კაკუნით. მერე მათ ხნიერმა ქალებმაც მიჰბაძეს და პატარა გოგონებმაც, – ვისაც კი ქოთნის აწევა შეეძლო, ყვავილებს დაატარებდა წვიმაში...

დიდებული სანახავი იყო წვიმა პატარა ქალაქში. განსაკუთრებით ლამაზი იყო ქალაქი ზევიდან. დაქროდნენ ჩიტები და დასცქეროდნენ ქუჩებს. სიხარულით ევსებოდათ პაწია გულები.

ამბობდნენ, ბევრმა ჩიტმა სწორედ მაშინ ამოიდგა ენა, იმ სილამაზის შემხედვარემ დაიწყო ჭიკჭიკიო. გალამაზდა ქალაქი. მთავარი კი ის იყო, რომ ყვავილების სურნელებით დამტკბარი მოქალაქენი უფრო კეთილნი გახდნენ. ერთმანეთს აღარავინ აწყენინებდა.

ის კი არადა, გოგონები ერთმანეთს აღარ ებუტებოდნენ იმის გამო, არა ჩემი დედოფალა უფრო ლამაზია, არა ჩემიო; ბიჭებს ხომ ფეხბურთის თამაშისას ერთხელაც აღარ მოსვლიათ ჩხუბი – გავიდა ბურთი, თუ არ გავიდაო. ყველა მადლიერი იყო იმ კაცის...

ერთხელ, წვიმაში რომ იდგა და ცას შესცქეროდა, კაცს სიმღერა მოესმა. მოაცილა მზერა ცას და დაინახა, მის ირგვლივ ლამაზ ქალიშვილებს ფერხული გაემართათ. ცეკვავდნენ და მღეროდნენ, მათთან ერთად ისე დაქროდნენ ყვავილ-ქოლგები, თითქოს დაფრენენო.

კაცს მოეწონა მათი ცეკვა-სიმღერა, მაგრამ ცოტა არ იყოს, შერცხვა, ჩემს ირგვლივ რატომ გამართეს ფერხულიო. განაგრძო ცაში ყურება... მას შემდეგ ქალიშვილები ყოველთვის უვლიდნენ ამ კაცის ირგვლივ ფერხულს წვიმაში. და ერთხელ, მარტო რომ დარჩა, კაცმა იფიქრა, მართლაც კარგი საქმეა, ყვავილ-ქოლგები რომ ვაჩუქე ქალაქსო და სიამაყე იგრძნო.

ერთხელ რომ იფიქრა, მერე ხშირად მოსდიოდა ეს ფიქრი თავში. ახლა წვიმაში ცას ხშირად მოაცილებდა ხოლმე თვალს და იღიმებოდა ქალიშვილების ფერხულით დამტკბარი. ერთი დავთარი გაიჩინა და ყოველი წვიმის შემდეგ იწერდა: დღეს ამდენმა და ამდენმა ქალიშვილმა იხტუნა ჩემს ირგვლივო. წვიმა ისე აღარ უყვარდა. ახლა უფრო თავის დავთარზე ფიქრობდა. მერე ერთხელ, განთიადისას გაეღვიძა. იგრძნო, წვიმა უნდა მოსულიყო. წამოჯდა და გაიხედა ფანჯარაში. ერთხანს იყო ასე. მერე ისევ დაწვა, თვალები დახუჭა, გაიფიქრა, აბა ახლა, ამ დილაუთენია ვინ გამოვა საცეკვაოდ, ალბათ, ყველას სძინავსო.

დაამთქნარა და ჩაიძინა... ერთხანს ეძინა... და უცებ გაეღვიძა შეშფოთებულს. გაიხედა აივნისკენ და დაინახა: წვიმდა, ცისფერ ყვავილს ფრთებივით გაეშალა ფოთლები და ნელ-ნელა მიიწევდა მაღლა...

– ვაიმე, ეს რა ვქენიო! – იყვირა კაცმა და წამოვარდა ზეზე... უცებ გაიღო ქალაქის ყველა ფანჯარა. გამოიხედეს ნამძინარევმა მოქალაქეებმა და დაინახეს: წვიმაში მიფრინავდა ცისფერი ყვავილი. ძირს კი კაცი მირბოდა საცვლების ამარა. საცოდავად მისძახოდა ყვავილს და ტიროდა...

გადაიარა ქოლგამ ქალაქის თავზე. გაჰყვა თან კაცი, მიეფარა თვალს. გაიხედეს მოქალაქეებმა თავიანთი ყვავილებისაკენ... და ნახეს, გამქრალიყო ყვავილები...

* * *

ახლაც ხშირად წვიმს პატარა ქალაქში. დახტიან პატარა გოგო-ბიჭები, დასდით თავზე ციდან მოსული წყალი... ქოლგებს ახლა თვითონ აკეთებენ ადამიანები, მაგრამ ეს ქოლგები იმ ყვავილ-ქოლგებს ვერ შეედრებიან სილამაზით და რადგან არც იმ ყვავილების სურნელი გააჩნიათ, ამიტომ ვერც იმას შველიან, რომ მოქალაქეებმა ერთმანეთს არ აწყენინონ.

ვერ ივიწყებს იმ ყვავილებს პატარა ქალაქი. ხანდახან ქალიშვილები ჩაფიქრდებიან წვიმაში და ეჩვენებათ, ქოლგა კი არა, ყვავილი გვიჭირავს ხელშიო. ამიტომაც, ისე ფაქიზად დაატარებენ ქოლგებს, კაცი იფიქრებს, უცებ ქოლგები რომ შეახონ ერთმანეთს, გაქრებიან თავიანთ ქოლგებიანადო.

კაცებს ახსოვთ იმ კაცის დიდი შეცდომა და, როგორც კი წვიმა წამოვა, უმეტესობას გული გარეთ მიუწევს. მოიგონებენ, ვითომ რაიმე საჩქარო და გადაუდებელი საქმე ჰქონდეთ სადღაც და გამოდიან ქუჩაში. დადიან სერიოზული სახით, თან ერთმანეთს თვალს არიდებენ: ვითომ ვერ ხვდებიან ერთმანეთის გულისნადებს. მაგრამ აღარ ვარდება ციდან ცისფერი გამჭვირვალე მარცვალი... დადიან კაცები წვიმაში... სველდებიან თავიდან ფეხებამდე...

ღამით კი შფოთავენ ძილში. ზოგიერთებს ეღვიძებათ, შუაღამისას სტოვებენ სახლებს და მიდიან ცისფერი ქოლგის საძებრად. ეძებენ მთელ ქვეყანაზე, ეძებენ და ვერ უპოვიათ.

ჰარვარდში „შნობელები“ დაარიგეს

ჰარვარდის უნივერსიტეტში „შნობელის“ პრემიის გადაცემის 34-ე ცერემონია გაიმართა. ნობელის პრემიის პაროდია გაიცემა იმ კვლევებისთვის, რომლებიც „თავიდან გვაცინებენ, მერე კი დაგვაფიქრებენ“. წელს, მშვიდობის დარგში უცნაური „მიღწევებისთვის“, გარდაცვლილი ამერიკელი ფსიქოლოგი ბერეს სკინერი დააფასეს, რომელმაც რაკეტების შიგნით მტრედების განთავსება და მათი მსროლელებად გამოყენება შემოგვთავაზა. სკინერმა ჯერ კიდევ 1940 წელს შეიმუშავა სპეციალური აღჭურვილობა ფრინველებისთვის და მათ ეკრანის სამიზნეზე ნისკარტის დარტყმას ასწავლიდა. მიუხედავად მტრედების წარმატებული წვრთნისა, აშშ-ში ამ პროექტის დახურვა გადაწყვიტეს. პრემია დემოგრაფიაში მიიღო დოქტორმა სოლ ნიუმანმა, ოქსფორდის უნივერსიტეტიდან. მან „დეტექტიური სამუშაოები“ ჩაატარა და დაასკვნა, რომ დღეგრძელი ადამიანების ასაკი ხშირად ბიუროკრატიული შეცდომის შედეგია – რეგიონებში, ისტორიულად, ხშირად დაბადების და გარდაცვალების მოწმობას მცდარი ჩანაწერებით გასცემდნენო.

ფრანგმა „სწავლულებმა“ დაიმსახურეს ჯილდო ანატომიაში – მათ დაადგინეს, რომ სამხრეთ ნახევარსფეროს მცხოვრებლებს თმა საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით ეხვევათ, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მცხოვრებლებს კი – პირიქით. ფიზიკაში „შნობელი“ იმ „მეცნიერებს“ მიანიჭეს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში იკვლევდნენ მკვდარი კალმახის დინების საწინააღმდეგო მოძრაობას. ქიმიაში ჰოლანდიელი მკვლევარების გუნდი გამოარჩიეს – მათ შეიმუშავეს მეთოდი, რომლითაც მთვრალ და ფხიზელ ჭიებს ერთმანეთისგან გამოარჩევს.

ფიზიოლოგიაში „შნობელი“ იაპონელებმა მიიღეს, რომელთაც „გაარკვიეს“, რომ ღორებსა და მღრღნელებს ანუსით სუნთქვა შეუძლიათ. მედიცინის დარგში კი „გამარჯვებული“ გერმანელი, შვეიცარიელი და ბელგიელი სპეციალისტები გახდნენ – მათ დადგინეს, რომ პლაცებო, რომელსაც სამედიცინო პრეპარატებისთვის დამახასიათებელი უკუჩვენებები აქვს, უკეთ მოქმედებს, ვიდრე პრეპარატები მათ გარეშე.

ცოლთან რეკვისთვის დააკავეს

ამომავალი მზის ქვეყანაში პოლიციამ დააკავა მამაკაცი, რომელიც საკუთარ ცოლს დღეში ასჯერ მაინც ურეკავდა და ხმას არ იღებდა. ადგილობრივი გამოცემის ინფორმაციით, ქალთან ზარი უცხო ნომრიდან შედიოდა და მას ყურმილში ვიღაცის სუნთქვა ესმოდა. როცა ზარების რაოდენობა დღეში თითქმის ასამდე ავიდა, ქალმა დასახმარებლად სამართალდამცავებს მიმართა. გამოძიებამ დაადგინა, რომ მას საკუთარი ქმარი ურეკავდა. მამაკაცი ადევნების ბრალდებით დააკავეს. მისი მტკიცებით, ამ ფორმით მხოლოდ საკუთარი გრძნობების გამოხატვა სურდა, სიჩუმე კი ცოლისადმი მისი სიყვარულის სიმბოლო იყო. პოლიციაში აცხადებენ, რომ ასეთი შემთხვევა ჯერ არ ჰქონიათ. რა ბედი ეწია „შეყვარებულ“ ქმარს, ჯერჯერობით, უცნობია.

სამსახურში კატები აიყვანეს

ერთ-ერთმა იაპონურმა IT-კომპანიამ სამსახურში ათი კატა აიყვანა. ისინი თანამშრომლებს სტრესთან გამკლავებაში უნდა დაეხმარონ. ტექნოლოგიურ კომპანიაში – Qnote, 32 ადამიანთან ერთად, ახლა ათი კატაც „მუშაობს“. ერთ-ერთი გამოცემის ცნობით, კომპანიამ საკუთარი ოფისიც კი გაარემონტა, ოთხფეხა თანამშრომლებისთვის იქ ყოფნა უფრო კომფორტული რომ იყოს – კატებისთვის იქ ორი სართულია გამოყოფილი. პირველი კატა ფირმაში ჯერ კიდევ 2004 წელს გამოჩნდა. დღეს ის „თავმდჯომარის“ პოსტს იკავებს, სხვა მისი მოძმენი კი „კლერკების“ და „აუდიტორების“ თანამდებობებს ინაწილებენ. ცხოველების ნაწილი იმ პირველი კატის შთამომავლები არიან, ნაწილი კი ქუჩიდან შეიფარეს. კომპანიაში აცხადებენ, რომ კატები ადამიანებს სტრესთან გამკლავებაში ეხმარებიან. მას შემდეგ, რაც ეს ოთხფეხები გამოჩნდნენ ოფისში, სამსახურიდან წასვლის სურვილი სულ უფრო ნაკლებ თანამშრომელს უჩნდება. ამიტომ, ამ კომპანიაში მუშაობის აუცილებელი პირობა კატების სიყვარულია.

ღია კოსმოსში არაპროფესიონალები გავიდნენ

მისია SpaceX-Polaris-ის ეკიპაჟის წევრები პირველი არაპროფესიონალი ასტრონავტები არიან, რომლებიც ღია კოსმოსში გავიდნენ. BBC-ის ცნობით, მილიარდერი ჯარედ აიზეკმანი ღია კოსმოსში რამდენიმე წუთით გავიდა, მას ხომალდ Crew Dragon-თან მიერთებული ტროსი იჭერდა. მის შემდეგ, კოსმოსური სივრცე SpaceX-ის ინჟინერმა სარა ჯილისმა „დალაშქრა“ ყველა მანევრი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. „აქედან დედამიწა მართლაც ისე გამოიყურება, როგორც იდეალური სამყარო“, – განაცხადა 41 წლის აიზეკმანმა. ეკიპაჟის დანარჩენი ორი წევრი კოსმოსური ხომალდის ბორტზე რჩებოდა. ცნობილი არ არის, რა დაუჯდა მილიარდერს ეს უნიკალური ფრენა. მანამდე, Crew Dragon-ის მისიაში მონაწილეობა კოსმოსში გასვლის გარეშე, დაახლოებით, 55 მილიონი დოლარი ღირდა.

ცხოვრება დაუსახლებელ კუნძულზე განაგრძო



60 წლის ბრიტანელმა იან აშერმა, ჯერ კიდევ 15 წლის წინ, ავსტრალიაში გაყიდა საკუთარი სახლი და ყველაფერი, რაც იქ იყო – მანქანაც, მოტოციკლიც. ეს მტკივნეული განქორწინების შემდეგ მოხდა, როცა მიხვდა, რომ მობეზრდა სამსახურიც და ახალი ცხოვრებაც. ის დათანხმდა შეთავაზებას და 399 ათას ავსტრალიურ დოლარად დათმო ყველაფერი, თუმცა აცხადებს, რომ არაფერს ნანობს. ამ ფულით მოგზაურობა დაიწყო და ექვსი წლის შემდეგ, კარიბის ზღვაში მდებარე უკაცრიელ კუნძულზე ჩავიდა. აშერი ამბობს, რომ ასეთი ბედნიერი ცხოვრებაში არასდროს ყოფილა. მან 27 500 დოლარად იყიდა ეს ტროპიკული კუნძული, რომელიც მიგდებული და მოუვლელი იყო. აშერმა მის მოწყობაზე ოთხი წელი დახარჯა. ახლა მას მეგობარი ქალიც ჰყავს და მასთან ერთად, ათ დღეში ერთხელ, საკვებისა და საწვავის მარაგის შესავსებად, ქალაქში დადის. ბრიტანელის თქმით, ოჯახის გარდა, იქ წყლის მოტოციკლით სეირნობა, კარგი ინტერნეტი და ინგლისურ „პაბში“ მეგობრებთან შეხვედრები აკლია.

თანამშრომლების ბედნიერებას აფინანსებენ

ტაილანდში მდებარე ერთ-ერთმა მარკეტინგულმა სააგენტომ განსაკუთრებული პროგრამა აამოქმედა საკუთარი თანამშრომლებისთვის, რომლის ფარგლებშიც, მათ ონლაინ-გაცნობის აპლიკაცია Tinder-ის პრემიუმ-გამოწერის საფასურს უხდიან. გარდა ამისა, ანაზღაურებად შვებულებასაც აძლევენ პაემნებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, რომ ზოგიერთი კვლევების მიხედვით, შეყვარებულობის მდგომარეობა ბედნიერების დონეს ზრდის, რაც თავის მხრივ, მუშაობას უფრო სასიამოვნოს ხდის. ისინი იმედოვნებენ, რომ თუკი თანამშრომლები სიყვარულს იპოვიან, მათი პროდუქტიულობა და კეთილდღეობაც გაიზრდება. ეს კი დადებითად აისახება მუშაობის შედეგებზე.

მტრედების დაპურებისთვის აჯარიმებენ

ჰონგ-კონგის მცხოვრებლებსა და სტუმრებს, უკვე ამ თვიდან, მტრედებისა და გარეული ცხოველების დაპურებისთვის დააჯარიმებენ. ამ ღონისძიებით ხელისუფლება ცდილობს, ეკოლოგიური ბალანსი შეინარჩუნოს და არ დაუშვას გარეული ცხოველების ქალაქში შემოსევა. ჯარიმის რაოდენობა 100 ათას ჰონგ-კონგურ დოლარამდეა, დაახლოებით, 12.8 ათასი აშშ დოლარი. ცხოველების ჩამონათვალში, რომელთაც საკვები არ უნდა მისცენ, შედიან მაიმუნები, გარეული ღორები, ქუჩის მტრედები და სხვა ცხოველ-ფრინველები. კანინის დამრღვევისთვის სასჯელი, შესაძლოა, უფრო მკაცრიც იყოს – ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა! დიდი ხანია, რაც მეგაპოლისში მტრედების პრობლემა არსებობს და მათ დამპურებლებს მხოლოდ მცირე თანხით აჯარიმებდნენ. ახალი და მკაცრი აკრძალვების შემდეგ, ჰონგ-კონგში მტრედების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

ავსტრალია სოციალური ქსელების აკრძალვას გეგმავს

„მწვანე კონტინენტის“ ხელისუფლება მომავალ არჩევნებამდე ახალი კანონპროექტის წარდგენას გეგმავს, რომლითაც სოციალური ქსელების გამოყენება უნდა დარეგულირდეს. ქვეყნის პრემიერის თქმით, მასზე ასაკობრივი შეზღუდვა დაწესდება. კანონპროექტის დეტალები ჯერ უცნობია, თუმცა ყოფილი მთავარი მოსამართლის ანგარიშზე დაყრდნობით, The Guardian ვარაუდობს, რომ ონლაინ-პლატფორმები 14 წლამდე ბავშვების შესვლას აკრძალავენ, ხოლო 14-15 წლის მოზარდებისთვის სერვისით სარგებლობის უფლების მისანიჭებლად, მშობლების თანხმობა იქნება საჭირო. ინიციატივას ხელისუფლების თითქმის ყველა წევრი ემხრობა. მათი თქმით, სოციალურ მედიაზე ადრეული წვდომა დამოკიდებულებას იწვევს და საზიანოა ჩვენი შვილებისთვის. ეს კი არაფრით განსხვავდება სიგარეტით ან ალკოჰოლით მიყენებული ზიანისგან.

დეოდორანტი ლუდის მოყვარულებისთვის

დიდ ბრიტანეთში, მრავალჯერადი დეოდორანტების ბრენდმა – Fussy, კომპანია BrewDog-თან ერთად, ახალი პროდუქტი გამოუშვა, რომელიც ქარვისფერი სასმელით არის შთაგონებული. ბრენდის დეოდორანტი ნახშირბად-ნეიტრალურია, არ შეიცავს პლასტიკს და შეფუთვაც სრულად გადამუშავებადია. მას საოცრად ტროპიკული არომატი აქვს და მისგან ნამდვილი ლუდის სუნი მოდის, – აცხადებს ბრენდის მარკეტინგის დირექტორი. ახალი დეოდორანტის ღირებულება, სულ რაღაც 15 ევროა.

ბანანის ღვინოს აყენებენ

აფრიკის აღმოსავლეთში მდებარე მალავის რესპუბლიკაში, კოოპერატივმა Twitule-მ, ბანანის ღვინის წარმოება დაიწყო. როგორც BBC გვატყობინებს, ღვინის დასაყენებლად გადამწიფებულ პროდუქტს იყენებენ. ფერმერების თქმით, კლიმატის ცვლილების ფონზე, ეს მომგებიანი გამოსავალია, რადგან მუდმივი სიცხის, ექსტრემალური ტემპერატურის, ასევე, პლანტაციების დატბორვის ფონზე, ბანანის სწრაფი დამწიფების გამო, ზარალს განიცდიან. ბანანის გარდა, ღვინის დასაყენებლად იყენებენ ქიშმიშს, შაქარს, საფუარსა და ლიმონს. ღვინო რამდენიმე კვირის განმავლობაში მზადდება. სასმელში ალკოჰოლის შემცველობა 13%-ია, მისი ფერი კი ღია ყვითელიდან მუქ ქარვისფერში ვარირებს. ღვინოს ოდნავ ტკბილი ხილის გემო აქვს, ბანანისა და ლიმნის არომატით. სასმელი ადგილობრივ ბაზარზე უკვე საკმაოდ პოპულარულია. მალავის დედაქალაქ ლილონგვესა და უდიდეს ქალაქ ბლანტაირში, ერთი ბოთლი ბანანის ღვინო 3 დოლარი ღირს. კომპანია თვეში მცირე რაოდენობის ღვინოს – 20-დან 50 ლიტრამდე აწარმოებს, თუმცა წარმოების გაფართოებასა და ექსპორტზე გასვლასაც გეგმავს.

ჭრილობას კალამი შეახორცებს

სწავლულებმა, ნანკინის უნივერსიტეტიდან, PAINT (portable bioactive ink for tissue healing)-ის ტექნოლოგია შეიმუშავეს, რომელიც პორტატული ბიოაქტიური მელანი გახლავთ, ქსოვილების შესახორცებლად. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი კალამი ექიმებს საშუალებას მისცემს, ჟელატინის მაგვარი სუბსტანცია პაციენტებს პირდაპირ ჭრილობაზე დაადოს – ნივთიერება ქსოვილის სწრაფ რეგენერაციას უწყობს ხელს. სამგანზომილებიანი ბეჭდვის კალმით, სამკურნალო პრეპარატი ნებისმიერი ფორმისა და ზომის ჭრილობას ავსებს. ჭრილობაში სტიმულირდება პროლიფერაცია, კოლაგენის ბოჭკოების გამომუშავება და იმუნიტეტიც. ექსპერიმენტების დროს, რომელიც თაგვებზე ჩატარდა, დიდი ზომის ჭრილობები PAINT-ს ტექნოლოგიით, 12 დღეში შეხორცდა.

ტრევის შადრევნის მონახულება ფასიანი ხდება

იტალიის დედაქალაქის ხელისუფლება აპირებს, შეზღუდოს რომის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ღირსშესანიშნაობაზე – ტრევის შადრევანზე წვდომა. როგორც ვარაუდობენ, ეს შეზღუდვა Jubilee 2025-ის წინ დაწესდება, რომელიც ვატიკანის მთავარი დღესასწაულია და ყოველ 25 წელიწადში ერთხელ ტარდება. შესაბამისად, მომავალ წელს, რომი 32 მილიონამდე ტურისტისა და მომლოცველის მიღებას ვარაუდობს. დაგეგმილია, რომ შადრევნის კიბეებზე მოხვედრა, სადაც ტურისტების დიდი რაოდენობა იკრიბება, ფიქსირებული დროის ინტერვალით, წინასწარი დაჯავშნით იქნება შესაძლებელი. თავად რომაელებისთვის ტრევის შადრევნის მონახულება უფასო იქნება, სხვებს კი 1 ან 2 ევროს ოდენობით, სიმბოლური თანხის გადახდა მოუწევთ.

ცნობისთვის, რომის ეს ღირსშესანიშნაობა, დაახლოებით, 300 წლისაა. ის იტალიელი არქიტექტორის, ნიკოლა სალვის დაპროექტებულია. შადრევანი 1762 წელს, ჯუზეპე პანინიმ და სხვა არქიტექტორებმა დაასრულეს. ტრევის შადრევნის სიმაღლე 26.3 მეტრია, სიგანე კი თითქმის 50 მეტრს (49.15მ) აღწევს. ის რომში, ბაროკოს სტილის უდიდესი და ერთ-ერთი, ყველაზე ცნობილი შადრევანია მსოფლიოში. ყოველდღიურად, მასში 3-4 ათასამდე ევროს მონეტა იყრება. მას ფულისგან ყოველ ღამე წმენდენ, შეგროვილი თანხა კი საქველმოქმედო ორგანიზაცია Caritas Italiana-ს გადაეცემა. შადრევნის წლიური შემოსავალი, დაახლოებით, 1.3 მილიონი ევროა. ამ მხრივ, გასული წელი განსაკუთრებით რეკორდული იყო – წყლიდან 1.6 მილიონი ევროს მონეტები ამოიღეს.

ციფრული დეტოქს-სასტუმრო გახსნეს

ფინელებმა მოიფიქრეს, როგორ აიძულონ ადამიანები, რამდენიმე დღე მაინც იცხოვრონ უტელეფონოდ. ქვეყანაში გაჩნდა კუნძული, ეგრეთ წოდებული, ციფრული დეტოქსიკაციისთვის. იქ მოგზაურებს სთხოვენ, ტელეფონები ჯიბეებში შეინახონ და დროებით უარი თქვან სოციალურ ქსელებზე. კუნძულზე მობილური კავშირი მაინც ნებადართულია. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ასეთი ერთკვირიანი შესვენების შემდეგ, ადამიანი თავს უკეთესად გრძნობს და ძილის ხარისხიც უმჯობესდება. კუნძული ულკო-ტამიო ფინეთის ყურის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ის მსოფლიოში პირველი ტურისტული ადგილია ციფრული დეტოქსიკაციისთვის. ტურისტებს შეუძლიათ, ღამე კარვებში გაათიონ, ან პატარა სახლები დაიქირავონ. იქ დასვენებისას, ადამიანები მთლიანად ბუნებაზე გადაერთვებიან და დაისვენებენ ციფრული სამყაროსგან.

ტუალეტში სიარულისთვის სამსახურიდან გაუშვეს

ერთ-ერთმა ჩინურმა კომპანიამ სამსახურიდან გაათავისუფლა თანამშრომელი, რომელიც სამუშაო საათებში, დღეში 6 საათს ტუალეტში ატარებდა. გათავისუფლებული მამაკაცი აცხადებს, რომ ჯანმრთელობის პრობლემები აქვს. მისი თქმით, გადატანილი ოპერაციის შემდეგ, ის იძულებულია, ხშირად გავიდეს საპირფარეშოში. თუმცა, ხელმძღვანელობას არ მოსწონდა, რომ ის დღეში 20-ჯერ მაინც ტოვებდა სამუშაო ადგილს. საბოლოოდ, ის გაათავისუფლეს და მიზეზად პერსონალისთვის დადგენილი ინსტრუქციები მოიყვანეს, რაც დაგვიანებას, ადრე წასვლასა და სამსახურის გაცდენას უკავშირდება. თუმცა, მამაკაცი უფროსობის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და სასამართლოში საჩივარი შეიტანა სამსახურში აღდგენაზე. თემიდამ კი დაადგინა, რომ თანამშრომლის ყოფნა ტუალეტში არ შეესაბამებოდა „გონივრულ და ნორმალურ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს“ და მისი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

შემწვარ ქვებს ჭამენ

ჩინეთში მეტად უჩვეულო კერძი გახდა პოპულარული – ეს შემწვარი ქვებია (ალბათ, უფრო კენჭები), რომელსაც ჰუბეის პროვინციაში, ქუჩის მზარეულები სთავაზობენ გამვლელებს. ასეთი სპეციფიკური წასახემსებლის ერთი პორცია 16 იუანი ღირს. მდინარის კენჭებს დიდ ტაფებში, ზეთში წვავენ, რასაც უმატებენ კოჭას, ნივრის სოუსს და წიწაკას. მყიდველთან ასეთი კენჭები ძალიან ცოტა, მუჭაზე ნაკლები ხვდება. ქვების ჭამა არ არის საჭირო, ისინი სათითაოდ უნდა გამოწუწნო. გამყიდველები კლიენტებს სთავაზობენ, ქვები სუვენირებად დაიტოვონ. ცნობილია, რომ ასეთ საკვებს ჩინელები ასობით წლების წინ მოიხმარდნენ. კერძს სოუდუი ერქვა, რაც ნიშნავს – „გამოლოკე და გადააგდე“. ეს კერძი მენავეებმა მოიგონეს იმ შემთხვევისთვის, თუკი მდინარით საქონლის გადატანის დროს, საკვები შემოელეოდათ. შემწვარი ქვები ერთგვარი მეთოდია ცარიელი კუჭის მოსატყუებლად.

გოლფსტრიმის დინებას გაქრობა ელის?



დანიელი სწავლულები ირწმუნებიან, რომ 2025-დან 2095 წლამდე, ატლანტიკის ოკეანეში მდებარე გოლფსტრიმის დინება, შესაძლოა, სრულად გაქრეს. იმის გამო, რომ ის მართავს კლიმატს ჩრდილოეთ ნახევსრფეროში, სავარაუდოდ, კლიმატური ქაოსი დაიწყება. გოლფსტრიმის დინებას ტროპიკებიდან ჩრდილოეთით თბილი წყლები გადააქვს და პირიქით. დინების გაქრობა ტემპერატურის მკვეთრ დაცემას, ეკოსისტემების კვდომას და მთელ პლანეტაზე შტორმებს გამოიწვევს. მოსალოდნელი გარდამტეხი მომენტი შეიძლება სავარაუდოზე უფრო სწრაფად დადგეს, რადგან ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ ატმოსფეროს დაბინძურებას სასათბურე აირებით, – აცხადებენ სპეციალისტები. აღსანიშნავია, რომ ამ სამეცნიერო ნაშრომს რამდენიმე შეზღუდვაც აქვს და სინამდვილეში, შესაძლოა, ყველაფერი არც ისე საშინელი იყოს, როგორც სწავლულები პროგნოზირებენ.

ინტელექტის დონე ნეირონებზეა დამოკიდებული

მკვლევარები ნიდერლანდებიდან მოულოდნელ დასკვნამდე მივიდნენ: აღმოჩნდა, რომ ადამიანის ინტელექტის დონე, თავის ტვინში ნეირონების ზომაზეა დამოკიდებული. ამის გასარკვევად, სწავლულებმა 35 პაციენტი გამოიკვლიეს, რომელთაც ნეიროქირურგიული ოპერაცია სჭირდებოდათ ეპილეფსიის მძიმე ფორმის, ან თავის ტვინის კიბოს გამო. ოპერაციისას, მედიკოსებმა თავის ტვინის ჯანმრთელი ნაწილის მცირე ფრაგმენტები აიღეს, მათი შესწავლის მიზნით. გარდა ამისა, ოპერაციამდე ყველა მონაწილემ ინტელექტის დონის შესამოწმებელი ტესტი გაიარა. ქსოვილის ნიმუშები შუბლის ნაწილიდან აიღეს, რომელიც პასუხისმგებელია ენების აღქმაზე, მეხსიერებასა და სენსორული იმპულსების დამუშავებაზე. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მეტი იყო ნეირონები თავის ტვინში, მით მაღალი იყო ადამიანის ინტელექტის კოეფიციენტი.

ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲘᲗ ᲡᲯᲘᲐᲜ

ჩინეთში მდებარე პოპულარული ყავის სახლების ქსელი – Luckin Coffee, სოციალური ქსელების ტრენდებში, მკაცრი სამუშაო კულტურის გამო მოხვდა. დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელმა ინტერნეტში გაავრცელა ინფორმაცია, რომ დამსაქმებელი კაფის თანამშრომლებს კლიენტების საჩივრების გადაწერას აძალებდა. ერთ-ერთი დაზარალებულის თქმით, ორი დღის განმავლობაში, მას პრეტენზიების დღეში 50-ჯერ გადაწერა მოუხდა. „მე მოვითხოვე ცხელი ყავა. ვერ დაინახეთ? არ გაგიღვიძიათ“, – ასე ჟღერდა საჩივარი, რომელიც მრავალჯერ უნდა გადაეწერა. კიდევ ერთი თანამშრომლის თქმით, ის გადაწერით იმიტომ დასაჯეს, რომ ყავის პარტიაზე ვადიანობის ინფორმაციის მიკვრა დაავიწყდა. „მე უნდა მივუთითო ვადიანობა“, – ასეთი იყო მისი სასჯელის ფრაზა, რომელიც დღეში ათჯერ გადააწერინეს. ასეთმა სადამსჯელო პოლიტიკამ თანამშრომლებში შიშის პოლიტიკა ჩამოაყალიბა, – აღნიშნავენ სხვა დასაქმებულებიც. ამ ყველაფრის საპასუხოდ, Luckin Coffee-ში განაცხადეს, რომ ეს პროცედურა ეხმარება პერსონალს, უკეთ მოემსახურონ კლიენტებს.

წებო ბრძანებას ემორჩილება

იაპონელმა გამომგონებლებმა ახალი წებო შექმნეს, რომელიც ეწებება და პირიქით, აეშვება ისევ, თუკი შესაბამის ბრძანებას მიიღებს. ის შუქის ერთი სიგრძის ტალღის ზემოქმედებით მუშაობს და მეორეს მეშვეობით კი საკუთარ თვისებას კარგავს. წებოს ძირითადი ინგრედიენტი კოფეინის მჟავა გახდა, რომელსაც შეუძლია, წარმოქმნას და დაშალოს ჯვარედინი ბმულები. იაპონელმა ინჟინრებმა მის საფუძველზე დაამზადეს პოლიმერი, რომელიც საგნებს წყალქვეშაც კი აწებებს. ექსპერიმენტებისას, წებოს 40-კილოგრამიანი ტვირთიც ააწევინეს – დაკვირვების 72 საათის განმავლობაში, მასზე არავითარი ცვლილება არ შეუნიშნავთ.

ᲓᲦᲘᲡ ᲫᲘᲚᲘ ᲢᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ

მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა, კვლევების შედეგად დაადგინა, რომ დღისით ძილი ადამიანის ტვინის მოცულობას ზრდის. მკვლევარებმა 40-დან 69 წლამდე ასაკის 380 ათასი ადამიანის მონაცემები გააანალიზეს. მათი მიზანი იყო დაედგინათ, რა მიზეზობრივი კავშირია დღის ძილსა და ტვინის ჯანმრთელობას შორის. კვლევებისას, სპეციალისტებმა შეისწავლეს დნმ-ის 97 ფრაგმენტი, რათა ადამიანების ძილისკენ მიდრეკილება დაედგინათ. შემდეგ იმ ადამიანების ტვინის ჯანმრთელობა და კოგნიტური ფუნქციები, რომლებიც გენეტიკურად მეტად იყვნენ ძილისკენ მიდრეკილები, შეადარეს იმ მოხალისეებისას, რომელთაც დღისით ძილი არ სურდათ. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ძილისკენ მიდრეკილი ადამიანების ტვინის საერთო მოცულობა ასოცირებული იყო ტვინის ჯანმრთელობასთან, ასევე, დემენციისა და სხვა დაავადებების განვითარების დაბალი რისკი ჰქონდათ.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.